

საბავშვო გაზეთი



—≡≡≡ თითოეულმა გავიგა ≡≡≡

უნდა გამოიფიქროს და იკითხოს

ოკავპირეული ჟურნალი

„კითხვები“

შინაარსი:

		გვ.			გვ.
2.	ვემზადოთ დიდი დღესასწაულისათვის	2	7.	ვემზადოთ მოსავლის დღისათვის—ა. ასტაშევა	17
3.	პიონერები ბანაკად — დ. ციციშვილი	3	8.	ბავშთა საერთაშორისო მოძრაობა	18
4.	მდინარის პირად—ნ. დაფრანელი	7	9.	დავიწყეთ ბრძოლა პაპიროსის წინააღმდეგ	20
5.	პიონერები ჰაერში—ვ. უ.	8	10.	ჩვენი ცხოვრება და მუშაობა	22
6.	წყალი—ს. კასრაძე	12	11.	რით არის სასარგებლო ლორების მოშენება	23
6.	ჩვენი ჟურნალის ორი წელი— ალ. ხულაგა	16	12.	ჩვენი ვიქტორინა	25

329-153(05)

მუშათა კლასის საჭმისათვის იყავ მზად!



3-47.



პიონერი

1928

30 აგვისტო

საქართველოს მ. კ. თ. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრთან) და ჯანათლების სახალხო კომისიის ინიციატივით სოციალური აღზრდის მთავარმართებელთა შერჩეული მაგნიტისათვის

წელიწადი III

№ 16



გერმანელი პიონერები საზაფხულო ბანაკად

ვეფხისტყაოსნის დიდი ღმერთისათვის

ა/წ. 2 სექტემბერს მთელს საბჭოთა კავშირში ჩატარდება საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობის დიდი ღმერთისათვის, ახალგაზრდათა მე-XIV საერთაშორისო დღე.

ახალგაზრდობის ეს ღმერთისათვის, რომელიც ცნობილია საერთაშორისო ახალგაზრდათა დღის სახელით, ყოველ წელს ტარდება ამ დღეს ყოველწლიურად ხდება საერთაშორისო ახალგაზრდობის რევოლუციონური სიმშრის შეფასება, მისი რევოლუციონური ბრძოლისა და უნარიანობის შემოწმება, ახალი გზებისა და მეთოდების ასახვა კ. პიტაღორის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის მხაგრებლად წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ახალგაზრდობა და მისი მოწინავე რაზმი — კომკავშირი — უკვე შეუდგენ მზადებას ამ ზეიმის ჩასატარებლად. ამ მხრივ არც პიონერები ჩამორჩებიან და ისინიც გაათრებულ მზადებაში არიან ღმერთისათვის მონაწილეობის მისაღებად.

უნდა ვიცოდეთ, რომ ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, გარდა საბჭოთა კავშირისა, ტარდება სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც. ამიტომ ჩვენი მოძვე კავშირის ორგანიზაციები, რომლებიც ფართულად თუ აშკარად მუშაობენ წითელ საზღვრებს იქით, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, უკვე დიდი ხანია ფართო მოსამზადებელ მუშაობას ეწევიან ღმერთისათვის წარმატებით ჩატარების მიზნით.

ყოველ წელს საერთ. ახალგაზრდათა დღე ყოველ ცალკე ქვეყანაში თავისებური ღმერთებით ტარდება.

საბჭოთა კავშირის პროლეტარული ახალგაზრდობა ამ ღმერთისათვის ჩატარებს სოციალისტურ მშენებლობაში ახალგაზრდათა მონაწილეობის გაძლიერების ღმერთით, ჩვენი წარმოების და სოფლის მეურნეობის ახალი ტენიკისა და სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის ღმერთით, კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციების გაფართოებისა და განმტკიცების ღმერთით, ომის საშიშროების საწინააღმდეგო და სხვა ღმერთებით.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი ახ. საერთ. დღე ჩატარებული იქნება უფრო სხვახარისხის ღმერთებით. ეს ღმერთებია: საბჭოთა კავშირის დაცვა ბურჟუაზიულ მტაცებლებისაგან, მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ ბრძოლა, მუშა ახალგაზრდობის შრომისა და უფლებების გაუმჯობესება, ახ. კომ. ინტერნაციონალის სექციების განმტკიცება და ბრძოლა კომკავში-

რის ორგანიზაციების მხრივ ახალგაზრდობის მასებზე ფართო გავლენის მოსაპოვებლად.

ბურჟუაზიისა და მშრომელთა მოსისხლე მტრებს რასაკვირველია, არ სძინავთ. ისინი, ხედავენ რა კომკავშირელთა ასეთ თავდადებულ ბრძოლას და მუშაობას, თავის მხრივ. გაფაციცებით ემზადებიან ღმერთისათვის ჩასაშლელად. ალბათ, ბევრი კომკავშირელი და პროლეტარი ახალგაზრდა შეეწირება ბურჟუაზიული ჟანდარმერიის მათრახს და გაციებულ საკანს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იერიშები რევოლუციონურ ახალგაზრდობას ვერ შეაშინებს. პირიქით, იგი გამოიწვევს მათი რიგების უფრო შემქიდროებას, შეგნების ამაღლებას და ბრძოლის წყურვილის ზრდას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად მშრომელი ხალხისა და ახალგაზრდობის მხრივ საჭიროა საბჭოთა კავშირის კომკავშირის, პიონერთა ახალგაზრდობისა და მთელი საზოგადოებრივობის მზრუნველობა და დახმარება საზღვარგარეო ამხანაგებისადმი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქაურ კომკავშირელებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან პიონერებიც.


საქართველოს პიონერთა ორგანიზაციებმა ახ. საერთ. დღის ჩატარებასთან დაკავშირებით უნდა გააძლიერონ თავისი კავშირი და დახმარება საზღვარგარეო პიონერებისათვის. ჩვენ ფართედ უნდა გავაცნოთ მათ ჩვენი წარსული ბრძოლისა და გამარჯვების გამოცდილებანი. პიონერთა ეს მოვალეობა ერთ მთავარ ღმერთად გამოსტკიცვის მოახლოებულ მე-14 ახ. საერთ. დღესთან დაკავშირებით გამომუშავებულ ღმერთებში.

ამასთან ერთად ჩვენმა პიონერებმა დაუღალავი შრომა უნდა გასწიონ თავისი მუშაობის გაშინარსიანებისა და გაუმჯობესებისათვის. უამისოდ ჩვენ სხვას ვერ ვასწავლით.

საბოლოოდ ჩვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს პიონერთა ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ახ. საერთ. დღის ჩატარებაში და ფართედ დახმარებას აღმოუჩენენ კომკავშირს, რომ საღმერთისათვის ღმერთები გატარებულ იქნეს ცხოვრებაში.

პიონერებო, შეუდექით ღმერთისათვის დაუყოვნებლივ მზადებას.

პიონერული ბანაკი



1. მოწოდება.

— მამილო, — დღეს ჩვენი პიონერ-კოლექტივის ბიურომ გადასწყვიტა ჩვენ, პიონერები, რკინის გზის მუშების შვილები, გავზავნილ ვიქნეთ საბანაკოდ ქვიშხეთში. სად არის ეს ქვიშხეთი არც კი ვიცი. თითოეულ ჩვენგანს ასეთი მოწოდებები დავგირიგეს და დავგავალე, ეს მოწოდებები მშობლებისათვის გადაგვეცა. აი, მეც მოვიტანე.

რკინის გზის მთავარი სახელოსნოს მუშა თედო, ახლადდარბრუნებული სამუშაოდან, ის იყო აივანზე ამოდლიდა, როდესაც მისი პატარა გოგონა მერი ასეთი სიტყვებით შეხვდა, აღტაცებული იმ მოვლენით, რომ იგი ზაფხულის სიცხიან დღეებს ტფილისშივე დასტოვებდა და გაემგზავრებოდა თავის ამხანაგებთან ერთად სოფლად, სადაც გაეცნობოდა და დაუახლოვდებოდა გლეხების შვილების ცხოვრებას.

თედომ თავის ქალს მოწოდება ჩამოართვა, იქვე ჩამოჯდა აივანთან მაგილაზე და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„რისთვისაა საჭირო ჩვენთვის ქალაქ გარეთ საბანაკოდ გასვლა?

მშობლებო!

ა. ლ. კ. კ. უჯრედები ემზადებიან პიონერებისათვის ბანაკობის მოსაწყობად.

ჩვენ უნდა გავატაროთ გამაჯანსაღებელი მუშაობა ბავშვებს შორის.

საჭიროა ბავშვებმა შეისწავლონ წყლით, ჰაერით და მზით სარგებლობა.

საჭიროა ბავშვებისათვის დასვენება ზამთრის სკოლის ცხოვრების შემდეგ.

ბავშვებმა უნდა შეისწავლონ საზოგადოებრივი მუშაობა და უნდა გაეცნონ გლეხების ცხოვრებას.

უნდა შეისწავლონ აგრეთვე კოლექტიური ცხოვრება და მუშაობა!

მათ უნდა შეიყვარონ ცოცხალი ბუნება, შეისწავლონ ბუნებისმეტყველება, თავისუფალი დროთი სარგებლობა ზაფხულში: ექსკურსიების სახით, სეირნობის სახით, ფიზკულტურით და განმანათლებელი მუშაობით.

აი, ძირითადი ამოცანები ბანაკობისათვის წელს.

თქვენი მოვალეობაა დაგვეხმაროთ ამ ბანაკობის მოწყობაში.

მშობლებო! გავზავნეთ თქვენი შვილები საბანაკოდ, დაგვეხმარეთ შეძლებისდა გვარად ამ საქმეში, როგორც რჩევა-დარიგებებით, ისე თქვენი საკუთარი წვლილით.

გახსოვდეთ, რომ ბანაკობა და ქალაქ გარეთ გასვლა ზაფხულში. საუკეთესო საშუალებაა ბავშვების გასაჯანსაღებლად და დასასვენებლად.

ა. ლ. კ. უჯრედი“.

— ძალიან სასიამოვნოა, — წამოიძახა თედომ და რემინგტონზე დაწერილი მოწოდება იქვე გადასდო. — მე რაც შემეძლება დაგვეხმარებით, ჩემო კარგო, ქვიშხეთი საუკეთესო ადგილია საზაფხულო დასვენებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ იქ შრომას და ორგანიზაციულ მუშაობას შეეჩვევი.

მეორე დღეს მერი დილით ადრე გამოცხადდა ახალგაზრდათა პიონერ-ბიუროში.

— ამხ. ხელოძევანელო, ჩემი მშობლები თანახმა არიან გამავზავნონ საბანაკოდ.

— ძალიან კარგი. ჩვენ ხვალვე გავემგზავრებით, გამოცხადდი აქ სწორედ 6 საათზე. დღეს კი აქვე დარჩები, უნდა ჩავატაროთ მოსამზადებელი მუშაობა.

ცოტა ხნის შემდეგ კოლექტივში თავი მოიყარეს პიონერებმა, რკინის გზის მუშების შვილებმა. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა. მოსამზადებელ მუშაობას დაესწრენ წარმომადგენლები როგორც ა. ლ. კ. კ. უჯრედიდან, ისე კომუჯრედიდანაც.

უფროსმა ამხანაგმა ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ საბანაკოდ წასული პიონერებისათვის უნდა არსებობდეს განსაკუთრებული შენობა, ბანაკობის მოწყობა ფარდულებში არაა ხელსაყრელი, რადგან ახალგაზრდები აქ განიცდიან სივიწროეს. ამავე დროს ჰიგიენური პირობების დაცვა შეუძლებელია ასეთ ფარდულებში და სხ.

წინასწარ მიღებული ცნობების თანახმად აღმოჩნდა, რომ სოფელ ქვიშხეთში მოიპოვება ისეთი შენობები, ყოფ. მემამულეების, სადაც თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს 200—300 პიონერი. აგრეთვე მიიღეს მხედველობაში, რომ ამ სოფლის ახლოს ჩამოდის მტკვარი, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ განსაკუთრებულ საათებში იბანაონ და მიიღონ მზის აბაზანები.

2. ორი ზარი.


სადგურის ბაქანზე საღამოს 6 საათზე ახალგაზრდა პიონერები, რიცხვით 200-მდე, შეკრებილიყვნენ და მოუთმენლად მოელოდნ ტფილისიდან გასვლას ქვიშხეთისაკენ.

მათი გამგზავრებისათვის განსაკუთრებული რონოდები შეუერთდა ბათომისაკენ მიმავალ მატარებელს. ეს რონოდები უნდა შეჩერებულიყო საღლიხში, საიდანაც ძალიან ახლოსაა ქვიშხეთი, მშვენიერი საზაფხულო აგარაკი და დასასვენებელი ადგილი.

სასწრაფოდ აივსო რონოდები ახალგაზრდებით. ყველას წამოელო თავისი ბარგი—საბანაკოდ აუცილებელი საგნები. მხიარულება და სიცოცხლე შეიტანეს ბავშვებმა რონოდებში.

— წყნარად, ერთმანეთს დააცალეთ, რიგობით შედით,—ისმოდა გარედან ხელმძღვანელის მიუხედავად ამისა, ყოველი პიონერი ცდილობდა პირველად შესულიყო რონოდაში და ამოერჩია საწოლი ან დასაჯდომი ადგილი. ძნელი შესწორების დაცვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი მოეწყვენ, და სამგზავრო მატარებლის უკანალი ორი რონოდა პიონერებით გაივსო.

მერიმ ამოიჩია თავის ამხანაგ ელენესთან თად დასაწოლი ადგილი და გამხიარულებული რომ სოფლისაკენ მიემგზავრებოდა, მოუთმენ მოელოდა სადგურიდან მეორე ზარის ხმას. მართქლმბავალმა დაიკვილა, და მატარებელიც იძრა.



პიონერები ტბის პირად

3 ქვიშხეთი

— უჰ, რა სიცივეა!—წამოიძახა ელენემ, როდესაც თავის ამხანაგ პიონერებთან ერთად გადმოვიდა ს. ლიხში.

— პალტო მაინც ამოგველო და ჩაგვეცვა!—შენიშნა მერიმ.

— არა უშავს რა, სადგურში შევიდეთ და იქ ჩავიცვათ პალტოები. არც მე მეგონა, თუ ასეთი სიცივე იქნებოდა აქ,—სთქვა ხელმძღვანელმა.

— ღამეა, როდის უნდა გათენდეს, ძალიან მეჩქარება ქვიშხეთის ნახვა!—წამოიძახა ერთმა პიონერმა.

— აბა, ჩქარა, შედით სადგურში და ყველამ ჩაიცვით პალტოები,—სთქვა ექიმმა, რომელიც საბა-

ნაკოდ წამოსულ პიონერებს გამოჰყოლოდა და ჯანმრთელობაზე ზრუნავდა.

— აი, ძია, მე ვიცოდი, რომ აქ სიცივე იქნებოდა. ამიტომ წინასწარ ჩავიცვი პალტო რონოდაში. მაშინვე კონდუქტორია და ასე მითხრა, რონოდის ლიხში უპალტოდ არ გადმოხვიდე, თორემ შეგცდებოა. ჩემ ამხანაგებსაც ვუამბე ეს; ჩვენ ახლში ვინც მოექცა, ყველამ ჩაიცვა პალტოები, წამოიძახა მეორე ასეულის პიონერმა და ექიმის წინ პალტოში გამოქიმული დადგა.

— წავიდეთ, მთვარიანი ღამეა, გზას მშვენიერად დავინახავთ,—სთქვა ერთმა პიონერმა.

2 საათის შემდეგ უკვე ინათლა. მშემ ნამდვიდამიწას თავისი პირველი სხივი ესროლა. შო

საქართველოს
გაზეთი № 20101933

მოხანდა თოვლიანი მთები შაქრის თავებივით, რომელიც სოფლის ისედაც ცოცხალ და ჯანმრთელ ბუნებას უფრო აღამაზებდა.

სოფლის ბავშვები, რომელნიც დილა-ადრიან ამდგარიყვნენ საქონლის გასარეკად, გაკვირვებით შესტკეპროდენ წითელბანტიან ბავშვებს.

— ხელმძღვანელო! აქაც ხომ იქნება პიონერთა კოლექტივი? — იკითხა მეორე ასეულის პიონერმა.

— როგორ არა, უნდა იყოს. თუ არ არის, აუცილებლად უნდა დავაარსოთ და ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა იმუშაონ პიონერებმა. ჩვენი მთავარი ამოცანა ეს იქნება სოფლად მუშაობისათვის. ისინიც უნდა ჩავითრიოთ ჩვენ რიგებში. უნდა გავაცნოთ მათ ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა. უნდა ვასწავლოთ ისიც, თუ როგორ უნდა დაისვენონ სკოლის შემდეგ ზაფხულში.

პიონერთა რაზმი სოფლის აღმასკომს მიუახლოვდა.

აღმასკომი ჯერ ისევ დაკეტილი დახვდათ. იქ მხოლოდ დარაჯი იყო. ჯერ კიდევ 8 საათი არ იყო.

— საიდან მოვიდა ამდენი ერთფერი ბავში, თითქოს ყველანი ერთი ოჯახიდან არიან წამოსულნიო, ერთნაირი ტანისამოსით! — გაკვირვებით იკითხა აღმასკომის დარაჯმა.

— დიახ, ჩვენ ყველანი ერთი ოჯახიდან ვართ, კომუნისტური ოჯახიდან, — მიუგო ხელმძღვანელმა, — ჩამოვედით აქ, რომ ასეთი კომუნისტური ოჯახი აქაც შევქნათ.

— ვერაფერი გამიგია, როგორ უნდა მოთავსდეს ერთად ამდენი ბავში ერთ ოჯახში?

— ნუ დაგაფიწყდება, რომ შენც ამ ოჯახის მერთ-ერთი წევრი ხარ! ჩვენი საბჭოთა ქვეყანა მილიონიან მთლიან ოჯახს წარმოადგენს. თქვენ წინ რომ ბავშვები არიან, ესენი ამ ოჯახის მხოლოდ ნაწილია, სახელდობრ, ახალგაზრდა თაობა, რომლისათვისაც საჭიროა ზაფხულზე საღ ჰაერზე დასვენება. ამ მიზნით გეწვიეთ სტუმრად, მიგვიღებთ თუ არა? — სიცილით შენიშნა ხელმძღვანელმა.

— რატომაც არა, უწინ აქ მდიდრები და ბურჟუები მოდიოდნენ, რომელნიც მშრომელებს კისერზე ასხდენ და სისხლს სწუწნიდნენ. ჩვენთვის სასიამოვნოცაა თქვენი აქ მოსვლა. მოხარულიც იქნებიან ყველანი, რადგან განათლებას შემოიტანთ.

აღმასკომის თავმჯდომარეც მოვიდა. მხიარულად მიესალმა იგი ძვირფას სტუმრებს და შემდეგ ბინისაკენ წაიყვანა ყველანი.

— აი, ეს შენობაა თქვენთვის დათმობილი, ამხანაგო, შეგიძლიათ დაბანაკდეთ. მართალია, ცოტა ვიწროდ იქნებით, მაგრამ არა უშავს რა. თითო

ოთახში 10 საწოლი მაინც დაეტევა, აქ ვინც ოთახზე მეტია.

— როგორ ატყობთ, ამხანაგო ექიმო! ჰიგიენური იქნება თუ არა ბავშვებისათვის აქ ცხოვრება? — შეეკითხა პირველი ასეულის პიონერთა ხელმძღვანელი ექიმს, როდესაც ისინი უკვე შენობაში შევიდნენ და ოთახებს დაუწყეს გასინჯვა.

— არა უშავს რა, კარგი ოთახებია, სინათლესაც საკმაოა; ეს კი მშვენიერია, რომ მტკვარს პირდაპირ თავზე დაჰყურებს აივანი. ერთი სიტყვით, ეს შენობა მოხდენილ ადგილზეა აგებული. შეხედეთ, უკან რა საუცხოვო ნაძვენარია! იშ, რა სუნი მოდის იქიდან! არა, ეს კარგი ბინაა, ძალიან კარგია პიონერებისათვის.

— გმადლობთ, ამხანაგო თავმჯდომარე, რომ ასეთი შენობა დაგვითმეთ. ახლა კი ამას გთხოვთ, რომ გლენები ამ სოფლის, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მოვიწვიოთ დღესვე. ჩვენი სურვილია ისინიც დაესწონ ბანაკების გახსნას.

4. ბ ი ზ ა.

— ლაზარე! ჰეი, ლაზარე! ლაზარე თავის პატარა სახლის აივანზე გამოვიდა.

— ვინ იძახი, კაცო!

— მე ვარ, სტეფანე. დღეს აღმასკომში უნდა წამოხვიდე. იქ რალაც ამბავიაო, რა ვიცი, და ყველანი უნდა დავესწროთ. სულ წითელბანტიანი და ერთნაირად ჩაცმული პატარა ბავშვები მოსულან ქალაქიდანა. შენ თუ არ წამოხვალ, გიგა მაინც გამოგზავნე აუცილებლად.

— ჰოო! კარგი!

გიგამ ქვიშეთის ოთხწლელი გაათავა შარშან. მამამ სწავლა აღარ გააგრძელებინა და შინ დაიტოვა სამუშაოდ.

— ნიჭიერი ბავშია, ლაზარე, შენი გიგა, გაგზავნე ხაშურში სასწავლებლად — ეუბნებოდა ლაზარეს ყოველთვის გიგას მასწავლებელი.

მაგრამ ლაზარე უარს ამბობდა.

— მართახელა კაცი ვარ და შინ მომხმარე მჭირია, გიგა ეხლა კაი 13 წლის არის და სწავლისათვის როგორღა მოვაცდინო. რაც ისწავლა, ისიც ეყოფა. წერა-კითხვა იცის და მეტი რაღა უნდა!..

ასე დარჩა გიგა სოფელში და მამას ეხმარებოდა ხენა-თესვაში. თავისუფალ დროს, თუ სადღე წიგნს იშოვნინდა, გატაცებით კითხულობდა.

სტეფანემ როდესაც გამოიარა, იგი ბაღჩაში იყო გადასული და ადგილობრივ ქობ-სამკითხველოდან გამოტანილ წიგნს კითხულობდა.

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო

მან ყური მოჰკრა სტეფანეს სიტყვებს ერთფეროვანი და წითელბანტიანი ბავშვების შესახებ. იგი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, საჩქაროდ ზეზე წამოხტა, წიგნის ფურცელი გადაკეცა წაკითხულ ადგილზე და გაექანა აღმასკომისაკენ.

სოფლის მოედანზე თანდათან იკრიბებოდნენ გლეხები. ზოგიერთი მათგანი ვაკვირვებით კითხულობდა პიონერების შესახებ.

11 საათზე უკვე დაიწყეს ბანაკობის საზეიმო გახსნა. შენობის წინ, რომელიც პიონერთა სადგომად იყო დანიშნული, აღმართეს ვეებერთელა ანძა და ზედ წითელი დროშა მიამაგრეს.

გიგა ამას განცვიფრებით ადევნებდა თვალყურს და ფიქრობდა:

„ნეტა მეც მათთან ვიყო“.



პიონერები ზღვის პირას სილაზე.

— ამხანაგებო! — დაიწყო პიონერთა ხელმძღვანელობა. ეს ახალგაზრდები ქალაქის მუშების შვილები არიან. ჩვენ აქ ისინი მოვიყვანეთ დასასვენებლად, ამავე დროს თქვენი ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. ამით ჩვენ შევძლებთ მტკიცე კავშირის გაბმას ქალაქსა და სოფელს შორის.

ეს ბავშვები პიონერები არიან, მომავალი კომუნისტები. ასეთი პიონერები თქვენ სოფელშიც ბევრი იქნებიან, მაგრამ მათ, შესაძლებელია, არავინ ხელმძღვანელობდა არ უწევს, ამიტომ ჩვენი მთავარი ვალდებულებაა დავიხლოვოთ ისინიც და გავაცნოთ ჩვენი მუშაობა. შესაძლებელია ზოგიერთმა თქვენგანმა ფიქროს, ქალაქელი მუშების ბავშვები მოკლილები არიან და ამიტომ დახეტიალობენ ასეო, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება: ჩვენ სიარულს ყოველთვის თავისი მიზანი აქვს. და, აი, ახლაც ჩვენ დიდ მიზანს შეადგენს ის, რომ პიონერებს შევავაროთ შრომა საღ ჰაერზე, ვასწავლოთ მათ წყლით, ჰაერით სარგებლობა.

ხელმძღვანელი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა.

გიგა იქვე იყო, სახლის კედელთან და ყველაფერს გულმოდგინედ ისმენდა.

ხელმძღვანელის შემდეგ სხვებმაც ილაპარაკეს. გიგამ გაიგო, თუ რა მიზნით ჩამოვიდნენ პიონერები მათ სოფელში. დიახ, გიგა მათ უნდა დაუახლოვეს, სულ მათთან ივლის ხოლმე.

როდესაც მიტინგი გათავდა, პიონერებმა თავისი ადგილი დაიჭირეს. ექიმმა გააწესრიგა ისინი თავის საწოლებზე.

მეორე დღეს დილით გიგამ მამას გაუბედავად უთხრა:

— მეც მათთან უნდა ჩავეწერო, ისინი ბევრ რამეს მასწავლიან. მაგილო, მომეცი ნება ჩავეწერო.

— შენ იმათთვის არა გცალია, ისინი აქ სასიერნოდ არიან ჩამოსულნი, შენ სეირნობა რათ გინდა, ნუთუ არ იცნობ ჩვენ სოფელს, აქ დაბადებულხარ და აქ იზრდები. სად გაქვს იმდენი დრო, რომ მათთან იარო. სიმინდი გასამარგლია, და პური და ქერი მოსამკელი. აგრე რომ მდომოდა, ხაშურში გაგზავნიდი სასწავლებლად.

გიგა უსიტყვოდ იდგა და ფიქრობდა.

5. პიონერები გლეხებთან.

კვირაა. გლეხებს თავი მოუყრიათ აღმასკომის წინ პატარა მოედანზე და მსჯელობენ თავის ქირვარაზე.

უფროსი პიონერები ჩარეულან ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ გლეხებში და გაზეთებს ხმაძალა კითხულობენ.

გიგა ერთ ასეთ ჯგუფში გატაცებული უსმენს ერთ-ერთ პიონერს. იგი კულტმუშაობის შესახებ კითხულობდა.

აქედან გაიგო გიგამ, რომ სოფლადაც უნდა არსებობდეს პიონერთა ორგანიზაცია პიონერ-კოლექტივის სახით, რომ ისინი უნდა სცემდნ თავის კედლის გაზეთს, რომლის გარშემო პიონერები მოიყრიან თავს და გააშუქებენ სოფლის საჭირობოროტო საკითხებს.

აი, აქ არ არსებობდა ასეთი პიონერ-კოლექტივი და ჩვენ დავაარსეთ, იქ უკვე ოცამდე ახალგაზრდა ჩაეწერა და ჩვენთან ერთად მუშაობენ.

ასე დაიწყო შემდეგ ახალგაზრდა პიონერმა, როდესაც პატარა წიგნის კითხვა გაათავა.

— ბიჭოს, აქ უკვე დაუარსებიათ მაგათ პიონერ-კოლექტივი. არა, მეც უნდა ჩავეწერო აუცილებლად, მამას სულაც არ შევატყობინებ ჩემს აქ ჩაწერას, — გაიფიქრა გიგამ.

როცა პიონერმა გლეხებთან საუბარი გაათავა, ერთმა გლეხმა წამოიძახა:



— ბიკოს! რა ყოჩაღები ყოფილან ეს ქალაქელი ბავშვები! ხედავთ, როგორი ახსნა-განმარტება სკოლნიათ?

გიგა პიონერს მიუახლოვდა და გაუბედავად უთხრა:

— ამხანაგო, მეც მინდა ჩავეწერო პიონერებთან. ვის მივმართო?

პიონერმა წაიყვანა იგი ვასო კომკავშირელთან, რომელიც ახლოგაზრდა პიონერებს სწვრდა და ადგენდა პიონერ-კოლექტივს.

— ამხ. ვასო! აი, თქვენი სოფლის ახალი პიონერი, ჩაწერე შენს სიაში, — მიმართა პიონერმა ვასოს.

— ოო, გიგა, შენა! კაცო, აქამდე რატომა დაგაგვიანდა? შენი ტოლები და ამხანაგები უკვე ჩაეწერენ.

გიგამ თავი ჩაღუნა და არაფერი არ უთქვამს.

დ. ციციშვილი

(გაგრძელება იქნება)

მდინარის პირად

მზე ოქროსფერად ამოელვარდა,
ნიაფი არხვეს სიმინდის ყანებს,
და საზეიმოდ მორთულ ბალსა ჰგავს
ქალა, მინდორი და მთები მწვანე.

პიონერები გზაზე სიმღერით
„საცდელ ყანისკენ“ მიიჩქარიან...
რა სურათია! რა მშვენიერი!
რა საუცხოვო სანახავია!

აგერ კიდევაც რაზმებად დგანან,
ებრძვიან მიწას საერთო ღონით,
ზღვის ტალღებივით ირხვეა ყანა,
და გულს ახარებს სიმინდი, ღომი!

ყანას მარგლიან კოლექტიურად,
ისმის ტრაქტორის მძიმე გუგუნნი,
და სიხარულით აღგზნებულია
პაწია შრომის გმირების გული.

დაცხა თანდათან, მზე მალლა იწვეს,
შუადღეა და დრო დასვენების.
იქვე ანკარა მდინარისაკენ
ჯგუფად მიდიან ამხანაგები.

ცელქი ტალღები ემსხვრევა ტირიფს,
ხტიან ბავშვები და იცინიან,
აქ სიმღერაა, იქ ვილაც ყვირის,
და ჟრიაშული მდინარეს მიაქვს!

მზე გადიხარა. დაბერა სიომ.
ტანზე იცვამენ ბავშვები გვიან,
ცოტა ხნის მერე ეშმაკუნები
კვლავ მუშაობას შეუდგებიან.

ნოე დაფნარელი.



სტუმრად „საჰაერო შფოთან“

სადგურზე, მოსკოვისაკენ მიმავალი მატარებლის მოლოდინში, მიშამ ყურადღება მიაქცია დიდ ლამაზ პლაკატს, რომელზედაც მფრინავის თავი იყო გამოხატული. მფრინავის თვალები და გამოშვებული საჩვენებელი თითი ისე იყო დახატული, რომ რომელი მხრიდანაც არ შეხედა მიშამ სურათს, მფრინავის თითი და თვალები პირდაპირ მისკენ იყო მიმართული.

პლაკატზე მსხვილი ასოებით იყო გამოყვანილი შემდეგი წარწერა:

„რა გააკეთე საჰაერო ფლოტისათვის?“

— არაფერი!—წაიბუტბუტა და გაემართა თავისი ამხანაგებისაკენ. იგი მიუახლოვდა გრიშას და ნინოს, გაიშვირა თითი მათკენ, შეეცადა ისეთივე მკაცრი გამომეტყველება მიეღო, როგორც ჰქონდა სურათზე გამოხატულ მფრინავს, და მრისხანედ შეეკითხა:

— რა გააკეთეთ საჰაერო ფლოტისათვის?..

— იგივე, რაც შენ!—ერთხმად უპასუხეს გრიშამ და ნინომ.

— „იგივე, რაც შენ!“—ესე იგი—არაფერი!

მიშას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ უცებ მოისმა მატარებლის გრიალი და ორთქლმავლის ძლიერი ქშინვა. ჩვენი მეგობრები იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ საუბარი და გაექანნენ მატარებლისაკენ.

მიშა, გრიშა და ნინო პიონერთა რაზმმა (რომლის წევრებადაც ისინი ითვლებიან უკვე ორი წელია) გუშინ გამოჰყო დელეგატებად მათი რაზმის ახალ შფოთან და დღეს სწორედ ამ თავის შფოთან მიემგზავრებოდნენ.

არცერთ მათგანს ჯერ შეფი არ ენახა, მაგრამ ლაპარაკი და დავა მის შესახებ დაუსრულებელი იყო.

„წითელი საჰაერო ფლოტის გამანადგურებელი ესკადრილია!“—ასეთი შეფი უბრალო კაცი არ იქნება!“

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ არც რაზმში მყოფმა პიონერებმა და არც თვით დელეგაციამ ნამდვილად არ იცოდა, თუ რას ნიშნავს „წითელი საჰაერო ფლოტის გამანადგურებელი ესკადრილია“.

„საჰაერო ფლოტი“—ეს გასაგებია: მფრინავი ჰაერობლანები, ის ყველა მათგანს ჰქონდა დანახული; „წითელი“—ნიშნავს რევოლუციონერს, მაგრამ თურას ნიშნავდა სიტყვები „გამანადგურებელი ესკადრილია“—ეს კი არ იცოდნენ.

ვაგონში სინათლე იყო და როგორც კი დასხდნენ ჩვენი მეგობრები, მაშინვე გააბეს ლაპარაკი შეფის შესახებ. მიშას მოაგონდა წარწერა, რომელიც პლაკატზე იყო და ცოტაოდნად დაღონებული შეეკითხა ამხანაგებს:

— რა უნდა ვუპასუხოთ შეფს, თუ ის შეგვეკითხა:

„რა გააკეთეთ საჰაერო ფლოტისათვის?“

ვაგონში მყოფი მგზავრები ყურს უგდებდნენ მათ საუბარს.

ერთმა მოქალაქემ მოინდომა ყმაწვილებთან გახუმრება.

— აი, რას ვაკეთებ მე საჰაერო ფლოტისათვის,—უცებ ღიმილით განაცხადა მან,—ვწევ!—და ყმაწვილებს აჩვენა პაპიროსის კოლოფი და წუმწუმას კოლოფი. ორივე კოლოფზე გამოხატული იყო თვითმფრინავები...


— სრულიადაც არა, ამით თქვენ არაფერსაც არ აკეთებთ საჰაერო ფლოტისათვის,—შენიშნა გრიშამ და თან დასძინა:—არავითარი სარგებლობა არ მოაქვს პაპიროსის წვევს. თუთუნის წვევს ზიანი მოაქვს თქვენთვის და სხვებისათვისაც, რომელნიც სუნთქავენ თქვენი პაპიროსის ბოლს...

მოქალაქე ასეთი პასუხით დაიბნა და დარცხვენილმა ხმაამოუღებლად განაგრძო პაპიროსის წვევა. ყმაწვილებმა კი ისევ დაიწყეს ლაპარაკი საჰაერო ფლოტზე.

პლაკატი, კოლოფზე გამოხატული თვითმფრინავები, მფრინავების ესკადრილიაში მომავალი სტუმრობა მათი განუწყვეტელი საუბრის საგანს შეადგენდა.

— რატომ არის, რომ ერთ კოლოფზე დახატულია თვითმფრინავი ბორბლებით, მეორე კოლოფზე კი თვითმფრინავს ბორბლები არ აქვს, ბორბლების მაგივრად დახატულია გრძელი რაღაცა?—შეეკითხა ნინო.

არც ერთს არ შეეძლო ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა, და დავა დიდხანს გაგრძელდებოდა,



პიონერები ასტაფეტს თამაშობენ.

მაგრამ უცებ გაისმა მგზავრების ძახილი: „მოსკოვი! მოსკოვი!“

— მოსკოვში მივედი! — წამოიძახა მიშამაც, — აბა, ჩქარა გადავიდეთ ვაგონიდან.

როგორც კი გადმოვიდნენ ყმაწვილები ვაგონიდან, მათ მიუახლოვდა მაღალი კაცი, წითელარმიელის ტანსაცმელში გამოწყობილი.

— თქვენ, ყმაწვილებო, ესკადრილიაში მიდიხართ? — შეეკითხა იგი.

— დიაღ, — ერთხმად უპასუხეს ყმაწვილებმა, — ჩვენ მარტო ჩამოვედით, ვინაიდან წინამძღოლი ავად გაგვიხდა.

— კარგი, ყმაწვილებო! თქვენ უკვე მიგელიან ესკადრილიაში.

განუსაზღვრელი იყო ის აღფრთოვანება, რომელიც ყმაწვილებმა განიცადეს ესკადრილიაში მისვლის დროს. ისინი მალე დაუმეგობრდნენ მფრინავებს, განსაკუთრებით კომკავშირელ მფრინავ მაკაროვს, რომელიც დახვდა მათ სადგურზე. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა მაშინ, როცა მფრინავები ყმაწვილებს დაჰპირდნენ ხვალ დილით აეროდრომზე წაყვანას.

ყმაწვილებმა დიდხანს ვერ დაიძინეს სიხარულისაგან: სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორი იქნებოდა ახლოს ჰაერობლანი; ფიქრობდნენ: იქნებ განხორციელდეს კიდევ დიდი ხნის ოცნება, შეიძლება ჩვენც ჩავსვან ჰაერობლანში და გაფრინდეთო.

პიონერები უშუაგვან გაზრდნას.

მიშა, გრიშა და ნინო დილით ადრე მფრინავებთან ერთად წავიდნენ აეროდრომზე.

როცა ყმაწვილები მიუახლოვდნენ აეროდრომს, ჰაერში თვალი მოჰკრეს რამდენიმე თვითმფრინავს. ყმაწვილები ისე ჩქარა მიდიოდნენ წინ, რომ მფრინავები ძლივს მისდევდნენ უკან. როცა აეროდრომზე მივიდნენ, დაინახეს დიდი თვითმფრინავი, რომელიც გაქანდა ველზე და აფრინდა.

— დავიგვიანეთ! — წამოიძახა გულდაწყვეტილმა ნინომ, — ყველა ჰაერობლანი გაფრენილა!..

— არა, ყველა არ გაფრენილა, — დაამშვიდეს იგი მფრინავებმა, — ეს ჰაერობლანი, ახლა რომ დაინახეთ, საფოსტო-სამგზავრო თვითმფრინავია.

— ეს თვითმფრინავები, რომლებიც ჰაერში დაფრინავენ, არსად არ წავლენ, — დაამშვიდა მაკაროვმა გულდაწყვეტილი ნინო. — ისინი კიდევ რამდენიმეჯერ მოვლენ თავის ადგილას და შემდეგ ისევ გაფრინდებიან.

— სულ ასე უნდა იფრინონ? — შეეკითხა გრიშა.

— დიაღ. ეს თვითმფრინავები სამოსწავლოა, — უპასუხა მაკაროვმა. — ამ თვითმფრინავებით ფრინავენ მოწაფე მფრინავები.

— როგორ, განა მოწაფენი მარტოდმარტო ფრინავენ? — შეეკითხა გოაცებული გრიშა, — ისინი ხომ შეიძლება ჩამოვარდნენ...



მფრინავმა ღიმილით უბასუხა:

— ჩამოვარდნით ყველა შეიძლება ჩამოვარდეს. მაგრამ ვისაც მგლის ეშინია, ის ტყეში არ უნდა წავიდეს. საქმე ისაა, რომ მოწაფეს მაშინვე, როგორც კი მიიღებენ, არ გაუშვებენ მარტო საფრენად...

— მაშ როგორ? — შეეკითხა მიშა.

— უნდა გითხრათ, ყმაწვილებო, — სთქვა მაკაროვმა, — რომ ყოველ მსურველს კი არ იღებენ მფრინავთა სკოლაში. საჭიროა, რომ კაცი იყოს ახალგაზრდა, ჯანმრთელი და საკმაოდ ღონიერი. მას გულიც მაგარი, თვალებიც გამჭრიახი უნდა ჰქონდეს და ამასთანავე საღი ნერვებიც. საპაერო სამსახური ძალიან რთული და ძნელი საქმეა. აქ საჭიროა მკაცრი შერჩევა...

— როგორ ასწავლიან იმ მოწაფეებს, რომლებსაც მფრინავთა სკოლაში მიიღებენ? — შეეკითხა ნინო.

— აი, როგორ. მოწაფეები — მომავალი მფრინავები — პირველად შეისწავლიან თვითმფრინავს, ყველა მის ნაწილს, შემდეგ ჩასხდებიან თვითმფრინავში და სწავლობენ მიწაზე გადარბენას. როცა ამაში გავარჯიშდებიან, მაშინ დაიწყებენ ფრენას სულ დაბლა, მიწიდან მცირე მანძილის მოშორებით. მოწაფე მფრინავი თანდათან შეისწავლის მიწიდან აფრენას და ახლო მანძილზე ფრენას, ამავე დროს იგი სწავლობს თვითმფრინავის მართვას ჰაერში, რის შემდეგაც მას ეძლევა უფლება უფრო მაღლა აფრინდეს, იფრინოს უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეაბრუნოს თვითმფრინავი მარჯვნივ და მარცხნივ, იტრიალოს ჰაეროდრომის ირგვლივ...

— აი, აი, ჯდება, — წაჰოძახა მიშამ.

მართლაც, ერთ-ერთი თვითმფრინავი, რომელიც საკმაოდ მაღლა ფრინავდა, ისე მაღლა, რომ მისი ძრავის ხმა ძლივს მოისმოდა, სწრაფად დაექანა მიწისაკენ. რამდენიმე ხნის განმავლობაში თვითმფრინავი დაქრლავდა დაბლა, სულ ახლოს მიწასთან; შემდეგ დაიხარა, ოდნავ შეეხო მიწას, ისევ ახტა მაღლა, შემდეგ კვლავ დაიხარა და სულ უფრო და უფრო უკლო სვლას.

თვითმფრინავის პროპელერი, როგორც წისკვილის ფრთები, ნელ-ნელ ტრიალებდა, ძრავის ხმა უკვე აღარ ისმოდა და დაბოლოს თვითმფრინავი სავსებით შეჩერდა.

თვითმფრინავიდან გამოვიდა ორი კაცი და დაიწყეს ლაპარაკი.

მაკაროვმა ყმაწვილებს უთხრა:

— აი, ხედავთ, ყმაწვილებო, ეგ არის მოწაფე და ის ინსტრუქტორი, — მიუთითა მაკაროვმა, — ინსტრუქტორი თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ მართავდა მოწაფე თვითმფრინავს ჰაერში და ახლა რალაცას უხსნის მას...

— რა მოხდება, რომ მოწაფემ სწორედ არ მართოს თვითმფრინავი ჰაერში? მაშინ ხომ შეიძლება ორივე დაიღუპოს: მოწაფეც და ინსტრუქტორიც, — შენიშნა მიშამ.

— არა, — ღიმილით უბასუხა მაკაროვმა, — ყოველივე ეს გათვალისწინებულია წინასწარ და ამიტომ სამოსწავლო თვითმფრინავებზე მოწყობილია ორმაგი მართვა. თუ მოწაფე, მაგალითად, საქვს შეატრიალებს მარჯვნივ, როცა საჭიროა შეტრიალება მარცხნივ, ინსტრუქტორი მაშინვე თვითონ დაიწყებს მართვას და მოწაფის შეცდომა გამოსწორებულ იქნება.

სანამ ყმაწვილები ლაპარაკობდნენ, კიდევ დაეშვა ზედიზედ რამდენიმე თვითმფრინავი, ზოგიერთი კვლავ აფრინდა ჰაერში. მთელ აეროდრომზე გაისმოდა ძრავების ძლიერი ხმაური, და ბავშვებს თვალები დაცუცებული ჰქონდათ; მათ უნდოდათ უცებ დაენახათ ყველაფერი: თვითმფრინავის გაქანება მიწაზე, მისი აფრენა ჰაერში, მიწაზე ჩამოშვება და სხ.

— აბა, ყმაწვილებო, ჩვენც მალე უნდა გავფრინდეთ, — განაცხადა მაკაროვმა, — აი, ჩვენი თვითმფრინავებიც მოაქვთ...

ბავშვებმა მიიხედეს და დაინახეს რომ ანგარის ფართოდ გაღებული კარებიდან ტყავის და ბრეზენტის ტანისამოსიან კაცებს გამოქონდათ მწვანე თვითმფრინავები.

— სად გავფრინდებით?

— ჩვენ გავფრინდებით, როგორც ეს თვითმფრინავები დაფრინავენ და შემდეგ ისევ მოვფრინდებით. თუმცა ჩვენ მოწაფენი არ ვართ, მაგრამ ჩვენც აუცილებლად უნდა ვიფრინოთ. თუ არ ვივარჯიშეთ ფრენაში, ფრენა შეიძლება კიდევ გადაგვაიწყდეს. გარდა ამისა, ამ ფრენის დროს ჩვენ ვსწავლობთ კიდევ ახალ ხერხებს. აი, გვიყურეთ, როგორ ვიფრენთ, შეადარეთ ჩვენი ფრენა მოწაფეების ფრენას და მაშინ თვითონ მიხვდებით ყველაფერს...

გამანადგურებელი ესკადრილის თვითმფრინავები უკვე დალაკდნენ მწყობრ რიგად. მფრინავები სწრაფად სხდებოდნენ თვითმფრინავში და რალაცას ეუბნებოდნენ მექანიკოსებს.

თუმცა ცოტა ეშინოდათ, მაგრამ ჩვენი მეგობრები მაინც მიუახლოვდნენ მათ და გაჩერდნენ იმ თვითმფრინავთან, რომელშიაც მაკაროვი ჩაჯდა.

— კონტაქტი! — გაისმა მექანიკოსის ძლიერი ხმა.

— კონტაქტი არის! — უბასუხა მაკაროვმა.

მექანიკოსმა სწრაფად შეაბრუნა პროპელერი. ძრავი ამუშავდა. ტა-ტა ტა... ტა-ტა-ტა... ტა-ტა-ტა... გაისმოდა ძრავის ხმაურობა და პროპელერი სულ უფრო და უფრო სწრაფად ბრუნავდა.



მაკაროვმა ხელი გაიქნია. თითქმის იმავე დროს გააქნია თეთრი ბაირალი კაცმა, რომელიც წინ იდგა. ძრავმა უცებ დაიგრაღლა, ისე ძლიერ, რომ ჩვენი ყმაწვილები მაინც შეშინდნენ, თუმცა შეეჩვიენ ხმაურობას. პროპელერმა ისე სწრაფად დაიწყო ტრიალი, რომ იგი სრულდებით აღარ ჩანდა. ყმაწვილებს თვალები დაუბნელდათ თვითმფრინავის გაქანებით შეყრილი მტერისაგან.

როცა მათ თვალები მოიფშენიტეს, მაკაროვის თვითმფრინავი უკვე წინ იყო. იგი სულ უფრო და უფრო სწრაფად მირბოდა ველზე თავისი აწეული კუდით, და ბავშვებს გული დაწყდათ, რომ მტვერმა საშუალება არ მისცა დაენახათ თვითმფრინავის მოწყვეტა დედამიწიდან და ჰაერში ასვლა. თვითმფრინავი თითქოს უცებ გაჩნდა ჰაერში!

იგვლივ კი ისევ გრიალი გაისმოდა. ეხლა მეორე მფრინავმა გაიქნია ხელი, ისევ გამოჩნდა თეთრი ბაირალი და გაქანდა მეორე თვითმფრინავი.

სულ მალე მთელი ესკადრილია მოექცა ჰაერში. თვითმფრინავები სულ მალლა-მალლა მფრინავდნენ ზეცაში და შემდეგ ერთ ადგილას იყრიდნენ თავს...

— უყურეთ, ყმაწვილებო! — დაიძახა გრიშამ, — როგორ წეროებივით დაეწყვენ თვითმფრინავები.

მართლაც, თვითმფრინავები წეროებისებრი წყობით ფრინავდნენ, მაგრამ არა დიდხანს; მალე ისინი გაიწალენ ერთ ხაზად, შემდეგ სამ ხაზად, გაფრინდნენ სხვადასხვა მიმართულებით და შემდეგ ისევ შეგროვდნენ ერთ ადგილას.

ყმაწვილები აღფრთოვანებული იყვნენ ამ არაჩვეულებრივი სანახაობით.

გრიშას ისე მალლა ჰქონდა აწეული თავი მალლა ცქერის დროს და ისე გატაცებით უყურებდა, რომ კინაღამ წაიქცა. მაგრამ უფრო საკვირველი ამბავი ყმაწვილებმა შემდეგ დაინახეს: საერთო წყებიდან გამოეყო რამდენიმე თვითმფრინავი და სულ მალლა-მალლა აფრინდნენ.

ერთი თვითმფრინავი სწრაფად გაექანა მალლა და შემდეგ უცებ შეტრიალდა, თითქოს გადაბრუნდა და დაექანა მიწისაკენ. ყმაწვილები გაოცებამ და შიშმა შეიპყრო. მაგრამ მიწისაკენ დაქანებული თვითმფრინავი ისევ სწორდებოდა, აღიოდა მალლა და ყმაწვილებისათვის მოულოდნელად აკეთებდა იმავე ოინს.

ახლა კი დამშვიდდნენ ჩვენი ყმაწვილები, ისინი მიხვდნენ, რომ ყოველივე ეს წინასწარ განზრახვით, განგებ ხდებოდა, და როცა მათ შეხედეს ზეცაში გა-

ფანტულ სხვა თვითმფრინავებსაც, დაინახეს, რომ ისინიც იმავე ნომრებს აკეთებდნენ.

— სადღა არიან დანარჩენი თვითმფრინავები? — უცებ წამოიძახა გრიშამ.

ბავშვებმა თვალები დააცეცეს. შორიდან ახლოვდებოდა თვითმფრინავებს ს ორი ჯგუფი, თითო ჯგუფში იყო სამი თვითმფრინავი. ეს თვითმფრინავები თითქოს დაიკარგა თვალთაგან, მაგრამ ყმაწვილები მალე მიხვდნენ, რომ ეს თვითმფრინავები ჯგუფ-ფგუფად აკეთებენ იმავე ნომრებს, როგორსაც დანარჩენი თვითმფრინავები აკეთებდნენ.

თვითმფრინავებმა მალე დაიწყეს სხვა ნომრების გაკეთება: ისინი ხან ვადატრიალდებოდნენ, როგორც წყალში მტურავი და ბორბლები ზევით მოექცეოდა, ბრუნავდნენ, ტრიალობდნენ ჰაერში, ხან ჩამოეშვებოდნენ, ხან ისევ ავიდოდნენ ზევით.

ბავშვებისათვის შეუშინველად აეროდრომის განაპირა ადგილზე ჩამოეშვა პირველი თვითმფრინავი ესკადრილიდან, შემდეგ სწრაფად ერთიმეორეზე მიყოლებით დაეშვენ დანარჩენებიც.

ბავშვებს მალე მიუახლოვდა მაკაროვა და ღიმილით შეეკითხა:

— ხომ ყველაფერი კარგად დაინახეთ, ყმაწვილებო?

— დაინახეთ! — ერთხმად უპასუხეს ყმაწვილებმა.

— ხომ მოგეწონათ! აი, რაც დაინახეთ, ყველა მაგ ნომრების გაკეთება უნდა იცოდეს სამხედრო მფრინავმა. ომში ეს აუცილებელია. ჩვენ ტყუილად კი არ გვიწოდებენ გამანადგურებელ მფრინავებს. მტრის განადგურებისათვის საჭიროა შეგვეძლოს ფრენა მთელი ესკადრილით წყებაში, სხვადასხვაგვარ მდგომარეობაში, ამ საშუალებით ადვილი იქნება მტრებზე თავდასხმა. ხომ მართალია?

— მართალია!.. — უპასუხეს ყმაწვილებმა.

ახლა კი მიხვდნენ ყმაწვილები, თუ რა არის ესკადრილია და რას ნიშნავს სიტყვა „გამანადგურებელი“.

როცა საერთო საცხოვრებელ ბინაზე გაემგზავრნენ, ყმაწვილები მოსვენებას არ აძლევდნენ მაკაროვს კითხვებით. მათ იმდენი კითხვა მისცეს მაკაროვს, რომ ბოლოს და ბოლოს მან უფრო უმჯობესად სცნო სპეციალური ლექციის წაკითხვა საპაერო ფლოტზე ბიონერთა კოლექტივში ყველა ყმაწვილის თანდასწრებით.





ხ ა ხ დ ი

ეს რამდენიმე დღეა დაცხა.

მზე ამოდის მცხუნვარე და მისის ვარდივით წითელი; აეღვარებული ღრუბლები ცაზე არ იძვრის, სიო არ ქრის და ქალაქში ცხელა, კლუბებში შეკრება შეუძლებელი შეიქნა, ქუჩებში მტვერია და პიონერებს მოენატრათ გაშლილი მინდორ-ველი და სოფლის სუფთა ჰაერი.

მაშინ პიონერ-კოლექტივის კრებამ დაადგინა ბანაკად გასვლა.

დატრიალდნ პიონერები, შეადგინეს გეგმა, გაინაწილეს სამუშაო და შეუდგნენ სამზადისს.

წინამძღოლი კოტე და ბიუროს ორი წევრი აგარაკის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. ისინი მესამე დღეს დაბრუნდნენ, ხოლო მათი დაბრუნებიდან მესუთე დილას პიონერთა №-კოლექტივი დოლითა და საყვირით მწყობრად გაემართა ქალაქის სადგურისაკენ ბანაკად გასასვლელად.

ქალაქს ამ დროს ეძინა.

მზე ჯერ არ ამოსულიყო და ქუჩებში მოძრაობა არ გაჩაღებულიყო, მაგრამ მაინც ცხელოდა და მტვერიც იდგა.

სადგურის ბაქანზე, სანამ მორიგეები რონოდაში ბარკს შეიტანდნენ და ადგილებს დაიჭერდნენ, ბავშვებმა წრე გაშალეს და საცეკვაო დაუკრეს.

გაისმა ტაში.

— დათა, მიდი, დათა!

— დაუარეთ, ბიჭებო, მალე დაუარეთ! — იძახოდა „მანდალინის“ დამკვრელი, — თორემ თქვენს პატიჟში თითები დამელალა და წუა თამაშში მუსიკა შეწყდება!

რა თქმა უნდა, შუქიას — „მანდალინის“ დამკვრელ პიონერს — თითები ადვილად არ დაეღლებოდა, მაგრამ ამით ის ამხანაგებს აქეზებდა, და ამხანაგებიც იცინოდნენ და მოხდენილად ცეკვავდნენ.

სადგურზე გამოსულმა მოქალაქეებმა ცეკვა-თამაში რომ დაინახეს, მოვიდნენ და ისინიც ტაშს უკრავდნენ. შემდეგ ერთმა მხარზე ხურჯინგადადებულმა სოფლელმა კაცმა იცეკვა ბავშვებთან.

ხურჯინიანი კაცი კარგად ცეკვავდა; სიამით იღიმებოდა და წრეში მდგომთ უხმობდა:

— აბა, ტაში, ტაშიო!

ბავშვები აღტაცებული იყვნენ და ტაში არ დაუკლიათ.

მალე გაისმა პირველი ზარი და წინამძღოლმა კოტემ დაიძახა:

— პიონერებო, რონოდაში! ადგილები დაიკავეთ!

წრე სწრაფად დაიშალა.

ბავშვები რონოდისაკენ გაიქცნენ და მოქალაქენი მათ მისძახოდნენ:

— ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ.

მალე სხვა მგზავრებიც მოთავსდნენ რონოდებში. მოსამსახურეებმაც თავისი ადგილები დაიჭირეს. სადგურში ჩამოჰკრეს მეორე ზარი.

— ვაშაა!

ერთხმად აღმოხდათ ამ დროს პიონერებს და მათი სასიხარულო ძახილი ერთვოდა მატარებლის გუგუნს, შორდებოდა სადგურს და მიემართებოდა შორს, აგარაკისაკენ.

II

მატარებელი მიქროდა დაუდკრომელად და ამწვანებულ მინდვრებს ეფენებოდა ორთქლმავალის კვამლი.

მინდვრებზე მუშაობდნენ გლეხები, მიმოდოდნენ ხარკამერ გაბმული ურმები და შორს, მინდვრების გასწვრივ უძრავად იდგნენ დიდრონი და ლურჯი მთები.

პიონერები ფანჯრიდან ხედავდნენ გარემოს და უხაროდათ.

რადგან დღე იყო და რონოდაში არავის ეძინა. ბავშვები მღეროდნენ და მათ სიმღერაზე სხვა რონოდებიდანაც მოდიოდნენ ცნობისმოყვარე მგზავრები და პიონერების სიმღერას ისმენდნენ.

ბევრი სადგური გაიარეს.

მატარებელი სადგურზე დგებოდა და ისევ განაგრძობდა გზას. მერვე ერთ დიდ სადგურზე ხელმძღვანელის წინადადებით მთელი ჯგუფი თავისი ბარგით ბაქანზე ჩამოვიდა.

ხელმძღვანელმა სადგურის უფროსისაგან რაღაც ცნობა მიიღო და ბავშვები ისევ მოთავსდნენ რონოდაში.

მაგრამ საოცრება!

ეს რონოდები ჩვეულებრივთან შედარებით პატარები ჩანდნენ და სიცილს იწვევდნენ. ორთქლმავა-

ლიც ასეთივე პაწია იყო და როცა მატარებელი დაიძრა, პატარა ორთქლმავალმა წვრილი, მაგრამ ღონიერი ხმით იკივლა. სწრაფად მოძრაობდა მატარებელი, თუმცა გზა შეიცვალა და კლაკნილი გახდა; ხშირი იყო მისახვევ-მოსახვევები, და მატარებლის ყოველი მოხვევა ახალსა და უკეთეს სურათს უშლიდა მგზავრებს თვალწინ.

არ ჩანდა ახლა ტრამალი*) და გაშლილი ვაკეები.

ირველივე კლდეები და გორაკები ამართულიყვნენ და ამ გორაკების ამწვანებულ ფერდობებზე, სადაც ხშირად მოჩუხჩუხებდა ანკარა წყარო, ხარობდა მშვენიერი ნაძენარი. უთუოდ ამის გამო ჰაერი უფრო გრილი და სასიამოვნო შეიქნა.

პიონერები ბუნების სანახაობამ მოხიბლა და ისინი გაყუჩებით ათვალთვარებდნენ მიდამოს და თანყურს უგდებდნენ წინამძღოლ კოტეს, რომელიც განმარტავდა აქაური ადგილმდებარეობის ვითარებას.

ღამით კოლექტივი დანიშნულ ადგილას მივიდა.

მატარებელი დადგა.

III

ერთი კვირის განმავლობაში ისვენებდნენ პიონერები აგარაკზე.

მაგრამ ეს დასვენება არც თუ უსაქმურობა იყო; ისინი შველოდნენ უღარიბეს გლეხებს მიწდვრის სამუშაოში; მოაწყვეს ჭადრაკის კუთხე კლუბში და საუბრობდნენ თავის ტოლ სოფლის გოგო-ბიჭებთან.

ერთი კვირის შემდეგ კი, როდესაც წინამძღოლი დარწმუნდა, რომ პიონერები დასვენებული არიან, გადაწყვიტეს ჩატარებიათ ექსკურსია აგარაკის მიდამოებში.

იმ ღამესვე მოემზადნენ ბავშვები სამგზავროდ.

დილაადრიან, როდესაც მზესაც კი ეძინა და ბალახზე ღამის ნამიც არ გამშრალიყო, მთელი კოლექტივი დაირაზმა და ქვეითად გაემართა ნაძენარით დაბურთული მთისაკენ.

გრილოდა, და ბავშვები ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ.

სწრაფად გაიარეს აგარაკის ქუჩები, მთის ფერდობს შეუდგნენ და მალე ტყის ბილიკებს დაადგნენ.

პიონერები აღტაცებული იყვნენ ამ სანახაობით.

— აბა, სიმღერა, ბიჭებო, სიმღერა! — დაიძახა შუქიამ.

პეტიკომ, რომელსაც ზარისებური ხმა ჰქონდა, დაიწყო, დანარჩენებმაც ბანი შემოსძახეს — და ბავშვების მთელი სიხარული ამ სიმღერაში გამოიხატა.

*) ტრამალი — გაშლილი ველი.

წინამძღოლს უნდოდა სიმღერა შეეწყვიტა: „ბავშვებს დალლისო“, მაგრამ გადიფიქრა, რადგან აღმართი დიდი ხანია გაველოთ და ახლა მთის სწორ ხერხემალზე მიდიოდნენ.

შუადღეზე კოლექტივი დანაყრდა.

შემდეგ მათ ერთი საათი დაისვენეს და ისევ განაგრძეს გზა.

IV

მზე ჩავიდა.

ბავშვებს მთა გაველოთ, ტყე გაველოთ და ახლა მთის მეორე მხარეს, ფერდობზე მოთავსებულიყვნენ.

თუმცა პიონერები დაღლილი იყვნენ, მაგრამ ღამე აქ უნდა გაეთიათ და ზოგი კარავს მართავდა, ზოგი კოცონს აჩაღებდა და ზოგიც ისვენებდა.

დიდი მანძილი გაველო კოლექტივის.

მათი სამყოფელი აგარაკი შორს, მთის გადაღმა მხარეს, იდო და იქიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. სამაგიეროდ ამ ფერდობის დაბლა სოფელი უნდა ყოფილიყო.

კოლექტივმა წყაროზე ხელ-პირი დაიბანა; შემდეგ სახელდახელოდ ივაზშემეს და კოცონის ირგვლივ ზოგიერთები მხარ-თედოზე წამოწვეს, ხოლო სხვები დასხდნენ და მოემზადნენ სასმენად.

ჩინებული საუბარი იცოდა კოტე ხელმძღვანელმა. ეხლაც, სთქვა თუ არა მან პირველი სიტყვა, პიონერებმა სმენა გაიმახვილეს და ზოგიერთები, რომელნიც ამდენ ხანს წამოწოლილიყვნენ, წამოჯდნენ და ისე ისმენდნენ.

კოტე მოუთხრობდა ბავშვებს ცხრაას ხუთის ამბავს, მოუთხრობდა, თუ როგორ იბრძოდნენ სოფლის გლეხობა და ქალაქის მუშები.

კოცონი ანათებდა იმათ სახეებს, ხოლო ირგვლივ ჩამობნელდა და ამ სიბნელეში მწყობრად აღიოდა მალლა ცეცხლის ბოლი; ისმოდა ნალვერდლის ტარციალი და ცეცხლის ეს თავისებური ხმაური ერთვოდა ღელის ჩუხჩუხსა და ხელმძღვანელის საუბარს.

ანათებდა კოცონი ბავშვების დაძაბულ კუნთებს, და მთელი კოლექტივი შეებოჭა განვლილ დღეთა ისტორიას.

უეცრად ახალგაზდა ნაძენარის მხრიდან, სადაც წყარო ჩუხჩუხებდა, მოისმა უცნაური ხმაური და შემდეგ მამაკაცის ხმა:

— ოქში, მინისტრა!

ამის შემდეგ, ხელათვე იმავე მამაკაცის ხმამ გააბა ნაღვლიანი სიმღერა, მაგრამ კილოც უცნობი იყო სიმღერისა და სიტყვებიც.

ხელმძღვანელმა საუბარი შესწყვიტა და ყური დაუგდო სიმღერას. ბავშებიც შეფრთხილდნენ და ისინიც სიმღერას ისმენდნენ.

— ვინ იქნება, ნეტავ?— ფიქრობდნენ კოკონის ირგვლივ მჯდომნი.

— წავიდეთ, ვნახოთ?— გაუბედავად იკითხა პეტკომ.

— წავიდეთ, წავიდეთ!

პიონერები წამოიშალნენ და ის იყო უნდა წასულიყვნენ, რომ ფერდობზე, ასი ნაბიჯის მოშორებით, მათ დაინახეს პატარა ბავში. ბავში გაოცებით ათვალთვრებდა მათ, მაგრამ რა დაინახა პიონერები დგებიან და მასაც თვალი მოჰკრეს, შეშინდა და ყვირილით გაიქცა წყაროსაკენ.

— მამა, მამაა!— ყვიროდა შეშინებული ბავში. წყაროდან მას მამაკაცი მიეგება.

— ჰა, ჯორა, ჰა!— ამხნევებდა მამაკაცი ბავშვს და ილიმებოდა.

პიონერები მოვიდნენ და უფრო გაკვირდნენ:

— ბიქოს, ჩინელები ყოფილან!

— ერიჰა, ჩინელები!— გაოცებით და თან სიხარულით იძახდნენ ბავშვები.

მართლაც! მამაკაცი ჩინელი იყო და ბავშვსაც ჩინური სახე ჰქონდა.

მამაკაცი იცინოდა და დამტვრეული ქართულით რაღაცას ამბობდა, ხოლო მათ მოშორებით, წყაროსთან, წყლით სავსე კასრებაკიდებული იდგა ვირი.

— გამარჯობა, ძმობილო! ვინა ხარ; ან აქ რამ მოგიყვანა?— თავაზიანად ეკითხებოდა ჩინელს ხელმძღვანელი.

ჩინელმა გულკეთილად გაიცინა და სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვები დააკლდა და ხელ-



ჩინელი შეუდგა თავგადასავლის თხრობას.

მეორედ გაიცინა; მერე დაფიქრდა და ხელების ქნევით წარმოსთქვა:

— მე ხიტაი უიფა-ივანა, ეს ჩემი შვილი ჯორა, იგი — ჩინელმა ხელით ვირზე ანიშნა— იგი ვირი მინისტრა.

ამ სიტყვებზე ბავშვებმა თავი ვერ შეიკავეს და სიცილი ასტეხეს; ჩინელმაც გაიცინა და ამბობდა:

— წყალი არა სოფელში: მინისტრა მივიდა, წყალი წაიღო.

პიონერები იცინოდნენ; ხელმძღვანელს ელიმებოდა და, რადგან უფროსი ჩინელიც იცინოდა, ამიტომ პაწია ჩინელმაც გაიღიმა.

— კოკონთან წავიდეთ, კოკონთან.

ბავშვებმა „მინისტრას“ კასრები მოხსნეს, ჩინელებს ირგვლივ შემოერთყენ და მხიარული ყვირლით გაემართნენ კოკონისაკენ.

მალე ყველანი კოკონს ირგვლივ შემოუსხდნენ და ჩინელი მამაკაცი შეუდგა თავისი თავგადასავლის თხრობას.

მას ჩინეთში თურმე უიფა ერქვა, მაგრამ აქაურებს მისთვის ივანა დაერქმიათ და ახლა ჩვენს ივანა ჰყვებოდა თავის ამბებს.

ძალიან გრძელი და მრავალფეროვანი იყო მისი თავგადასავალი.

მსოფლიო ომის დროს, სხვა თანამოძმეებთან ერთად უიფა, იგივე ივანა, მძიმე ცხოვრებას გაქცეოდა და ბევრი ხეტიალის შემდეგ ტრაპეზუნდში ამოეყო თავი.

ტრაპეზუნდში თურმე დღიურად მუშაობდა სამხედრო გზებზე.

რევოლუციის დროს დას. საქართველოში ჩარჩინილიყო; მერე აღმოხსავლეთ საქართველოში გადმოე-



სროლა გარემოებას; აქ კი ქართველ ქალს შეუღლებოდა, ოჯახი მოეწყო და სამსახურიც ემოვნა.

ამჟამად ივანა დარაჯად იყო სოფლის კოოპერატიულ დაწესებულებაში.

— ეს ბავშვიც მისი შვილია, სახელად ჟორა.

მაგრამ ივანა „ჟორას“ მაგივრად ამბობდა: „ჯორას“, რაზედაც პიონერები იცინოდნენ, იცინოდნენ თვითონ ივანა და პატარა ჟორაც.

— კარგი, მაგრამ წყალი რათ მივაქვით ამის-შორიდან?— იკითხა პეტეკომ.

— როგორ თუ რათ?— სიტყვა გაუსწორა პეტეკოს შუქიამ— წყაროს წყალია და უთუოდ იმიტომ.

— არა, — თავი გადააქნია ივანამ, — სოფელს წყალი არა აქვს და მთელი სოფელი იძულებულია აქედან ზიდოს წყალი.

ბავშვები გაოცდნენ:

— აკი იქ კოოპერატივია, ნუთუ წყალი ვერ გაიყვანეს?

— რამდენი კომლია სოფელში?— დაუტბრობლად კითხულობდნენ ბავშვები.

ბავშვები დაფიქრდნენ.

— დავეხმაროთ სოფელს, — დინჯად წარმოსთქვა დათამ.

— ჰო, დავეხმაროთ, დავეხმაროთ! — ერთხმად წამოიძახეს სხვებმაც და ხელმძღვანელს მიაჩერდნენ.

კოტემ გაიღიმა და სთქვა:

— კარგი, პიონერებო! ჩვენ ეს ვაცნობთ ტფალისში უფროს ამხანაგებს და უთუოდ წყალი გაყვანილი იქნება.

ამ გადაწყვეტილებას დაადგნენ. შემდეგ კიდევ ესაუბრნენ ივანასა და ჟორას და ბოლოს, როცა ჩინელი მამა და შვილი კასრებით დატვირთულ ვირითურთ გაუდგნენ სოფლის შარას, პიონერებმა შემოსძახეს: „ვაშა!“

მალე კოლექტივი დაბრუნდა აგარაკზე.

იქ მათ დასწერეს დიდი განცხადება, სადაც დაწვრილებით აღწერდნენ სოფლის საჭიროებას და ეს განცხადება გაგზავნეს ქალაქში.

თვენახევარი დარჩა კოლექტივი აგარაკზე.

ვადის დასასრულს პიონერები ერთხელ კიდევ გაემგზავრნენ ივანას სოფელში და როდესაც იქ ჩავიდნენ, არა თუ ივანა, მთელი სოფელი სიხარულით გამოეგება მათ.

თურმე, მთავრობას კოლექტივის განცხადება მისვლოდა, სოფელში გამოკდილი ინჟინერი გაეგზავნა და ინჟინერი დაჰპირებოდა სოფელს:

— უსათუოდ წყალს გაიყვანათ.

— ვაშაა! — აღტაცებით იძახდნენ პიონერები.

ივანა თავის შვილს ეუბნებოდა:

— ეცადე, ჯორა, კარგი ბიჭი შეიქნა, რომ პიონერებმა კოლექტივში მივიღონ.

ს. კასრაძე



ჩვენი ჟურნალის არსებობის ორი წელი

15 ოქტომბერს შესრულდება ორი წელი, რაც ჟურნალი „პიონერი“ არსებობს. იგი პირველად გაშვებულა 1926 წლის 15 ოქტომბერს. ეს ის დრო იყო, როცა პიონერ-მოდრობა უკვე საკმაოდ მოღონიერებული იყო და, მაშასადამე, აუცილებლობას წარმოადგენდა ჩვენ გვექონოდა ისეთი ორგანო, რომელიც ჩვენი მოძრაობის და ჩვენი მოთხოვნებიდან გამომხატველი იქნებოდა. ჟურნალი სწორედ თავისი დაარსების დღიდან ამ ფართე ამოცანებს ისახავდა და ისახავს, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ გამოიცვალა, გამოიცვალა ჟურ. „პიონერიც“. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამ ჟურნალის მიზანია გააშუქოს ყოველივე ის, რაც აინტერესებთ პიონერებს, მოწაფეებს და საბავშვო სახლის და შეუკავშირებელ ბავშვებს.

„პიონერი“ ემსახურება ყველას, რომ მათ სწორედ მოაწყონ თავისი ცხოვრება და მუშაობა.

„პიონერი“ აცნობს ბავშვებს, თუ რა ხდება მათ ირგვლივ, რა ხდება ასეული და ათასეული კილომეტრის იქით.

ამ ორი წლის განმავლობაში, ჟურნალ „პიონერში“ თავსდებოდა უამრავი მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ საქართველოს და სხვა საბჭოთა ქვეყნების ბავშვები, როგორ ცხოვრობენ და იბრძვიან უცხოეთის პიონერები. ჟურნალი აწვდიდა ბავშვებს ცნობებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობისა და ბრძოლის შესახებ, ჩვენი მეურნეობის, ჩვენი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ, ჩვენი დღევანდელი და მომავალი მუშაობის სინამდვილისა და ამოცანების შესახებ. ერთი სიტყვით, ჟურნალი შესაძლებლობის მიხედვით აშუქებდა ყველაფერს, რაც ჩვენი ინტერესის და მუშაობის ცენტრში იდგა და სდგას, მაგრამ ჟურნალის ხასიათს მართა ეს არ განსაზღვრავს, მასში დიდი ადგილი ეთმობა მხატვრულ ლიტერატურას, სადაც სისტემატიურად იბეჭდება რუსეთის და ჩვენი მწერლების მხატვრული ნაწარმოები. ყველას ახსოვს, ალბათ, ვინც კითხულობს ჩვენ ჟურნალს, კ. ლორთქიფანიძის, ე. პოლუმორდინოვის, ი. ვაკელის, ს. ეულის, კ. ბობოხიძის ლექსები, ს. კასრაძის, დ. შენგელაიას, დ. ციციშვილის და სხვების მოთხრობები, სადაც მხატვრულად აწერილია სხვადასხვა ამბები პიონერების ცხოვრებიდან და მოქმედებიდან, ყველაფერი ეს კი შეადგენს ჩვენი ჟურნალის შინაარსს, რომლის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის არ ემსახურებოდა ამით საკმაოდ თავის მკითხველებს.

ცნობილია, რომ ჟურნალის გაუმჯობესების საქმეში დიდ მონაწილეობას იღებდენ და იღებენ მკითხველები და ბავშვები, მაგრამ არსებობს ორი წლის თავზე ჟურნალის წინაშე სდგება ამოცანად ფართო მკითხველების მიერ მისი სათანადოდ შეფასება. ჟურნალი მოელის ამ ხნისთვის მკითხველებისგან კოლექტიურ მსჯელობას მისი შინაარსის და ხასიათის შესახებ. ყოველმა მკითხველმა უნდა მიუთითოს, თუ რა არის ამ ჟურნალის დადებითი მხარე, თუ რა მასში საინტერესოა, ანდა რა ნაკლი და უარყოფითი მხარე აქვს მას, რა განყოფილებები უნდა შეიცვალოს ან გაფართოვდეს, როგორ უნდა შეიცვალოს ჟურნალის გარეგნული ჩხარე. მკითხველებმა უნდა აღნიშნონ ეს ყველაფერი და ამით დაეხმარონ მას.

პიონერთ, მოწაფეთა და საბავშვო სახლის კედლის გაზეთებმა უნდა აღნიშნონ „პიონერის“ არსებობის ორი წელი და სხვებზე დაინტერესონ კედლის გაზეთის საშუალებით თავისი ჟურნალით.

არ უნდა დაავიწყდეთ ეს ამოცანები განსაკუთრებით ბავშვობებს, რომლებიც ყოველთვის იღებდენ ჟურნალში მონაწილეობას. მაგრამ, რაც მთავარია, ბავშვობებმა აქტიურად უნდა იმუშაონ იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება ბევრ ამხანაგს გამოაწერიონ „პიონერი“. საქართველოში 70,000 პიონერია, გარდა მრავალი ათასი შეუკავშირებელი ბავშვისა, და მათ შორის მხოლოდ 1,000 ცალი „პიონერი“ ვრცელდება, ეს კი ჩვენი უდიდესი ნაკლია და დაწაშულიც.

„პიონერის“ იუბილეიმ ბავშვობებს, მკითხველებს, ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულებს, კოლექტივებს უნდა მოაგონოს, რომ მათ იმუშაონ, იმუშაონ და კიდევ იმუშაონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება არა თუ მეტი გავრცელდეს „პიონერი“, არამედ კიდევ უფრო გადიდდეს მისი ტირაჟი.

ამრიგად, ამხანაგებო, ამ მეტად საყურადღებო და აღსანიშნავი დღისათვის ერთხელ კიდევ დგება საკითხი—ვემზადოთ სერიოზულად ჟურნალი „პიონერის“ არსებობის ორი წლის თავის იუბილისათვის. „პიონერის“ იუბილე—ჩვენი საქმიანობის იუბილეა! მაშ არც ერთ ბავშვს, არც ერთ პიონერს არ უნდა დაავიწყდეს თავისი ვალდებულება ამ დღისათვის.

ალ. სულავა.

ვეფხდოთ მოსავლის დღისათვის

ახლოვდება პიონერებო, მოახლოვებულია ის დღე როცა მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყება მოსავლის დღის ჩატარება. არავის ეპარება ეჭვი, რომ პიონერები აქაც მიიღებენ მონაწილეობას. მით უმეტესად, როცა ამ დღესასწაულზე ჩვენი მონაწილეობა პირველი არ არის, ამ დარგშიც გვაქვს წარსული წლების მიხვევები და გამოცდილება.

სოფლის პიონერი მომავალი კულტურული მეურნეა, ამიტომ, როგორც არასოდეს, ისე გვმართებს, მოსავლის დღესასწაულზე რაც შეიძლება აქტიურად თავის გამომქდავენება, რომ ამით ყველას ვაჩვენოთ, რომ ჩვენც მონაწილეობას ვღებულობთ ჩვენი მეურნეობის კულტურულ მშენებლობაში.

ცნობილია ისიც, რომ წარსულ წლებთან შედარებით ჩვენი მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში გაფართოებულია, ამიტომ, მოსავლის დღესასწაულთან დაკავშირებით, კომკავშირის ცეკას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ჩვენი მუშაობის შემოწმება.

შემოწმება დაიწყება 15 აგვისტოდან და გაგრძელდება 15 ნოემბრამდე.

ამიტომ ჩვენი ამოცანები კიდევ უფრო სერიოზულია. ჩვენ ამ პერიოდში ჯამი უნდა გავუყუთოთ და შევამოწმოთ სასოფლო-სამეურნეო დარგში ჩვენი მუშაობის ყოველგვარი მხარე.

რაც შეეხება ამ მუშაობის სინამდვილეს, ფაქტია, რომ მთელი რიგი პიონერები და პიონერ-კოლექტივები ჩაბმული არიან მასში, მისდევენ მებადლეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას და სხვა, და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით წვლილი შეაქვთ მეურნეობის აყვავებაში.

მოსავლის დღეზე რომ ყველამ ნათლად დაინახოს ეს მიხვევები, საჭიროა ყველა პიონერმა და

პიონერ-კოლექტივმა, ვისაც კი გაუკეთებია რაიმე ამ დარგში, ჩამოაყალიბონ წრეები, გასწიონ აგტივია სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოსაწყობად.

რაც შეეხებათ კერძოდ პიონერებს, მათი მონაწილეობა ამ გამოფენაზე განსაკუთრებულად უნდა ჩანდეს,



მოსავალი პიონერების ბაღიდან

რაც, რასაკვირველია, განსაკუთრებულ სამზადისს თხოვლობს, გამოფენაზე შეიძლება გამოტანილ იქნეს საკუთარი შრომით მოწეული ხეხილი, შინაური ცხოველები, რომელსაც ისინი უვლიდენ, პლაკატები და ლოზუნგები.

მოსავლის დღესასწაულზე სათანადო მონაწილეობის მიღებით პიონერები სხვა შეუკავშირებელ ბავშვებსაც დააჯერებენ თავის ორგანიზაციულობაში, იმაში, რომ მათი საქმიანობა სასარგებლოა და სხვა.

ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი და ორი საუკეთესო პიონერ-კოლექტივი სოფლად, რომლებიც საკმაო პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებენ და სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დაამტკიცებენ თავის შრომისმოყვარეობას და უნარიანობას.

ეს შემოწმება საკავშირო მასშტაბით ხდება. ამიტომ ჩვენი ქვეყნის პიონერებიც არ უნდა ჩამორჩენ დაწარჩენი კუთხეების პიონერებს და მიიღონ მონაწილეობა მის სათანადოდ ჩატარებაში.

ა. ასტაშევა

პ ი ო ნ ე რ ე ბ ო !

ვეფხდოთ და მივიღოთ მხურვა- ლე მონაწილეობა „მოსავლის დღის“ ჩატარებაში

ბავშთა სპორტაჟისა



მობრუნება

დანის პიონერ-ორგანიზაცია.

(გზავრის შთაბეჭდილება)

მე მივდივარ კოპენჰაგენის ყველაზე უფრო ღარიბ მუშათა უბანში და ვეძებ პიონერთა ბიუროს. ერთი მეტად დაძველებული სახლის წინ თვალეში მეცემა აბრა, რომელზეც მსხვილი ასოებით დაწერილია: „ნორჩი პიონერები“, ხოლო ქვევით კი მეტად წვრილი ასოებით: „დანის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი“. მე ვიცი, რომ კოპენჰაგენში პიონერებს და კომკავშირს აქვთ ბიურო, მაგრამ ძლიერ გამაკვირა წაჩურის ფორმამ: პირველად მსხვილი ასოებით — პიონერი, შემდეგ წვრილი ასოით — კომკავშირი. მაგრამ თუ თქვენ გამოელაპარაკებით დანის კომკავშირებს, კომპარტიის ც. კ. წევრებს და თვით პიონერებს პიონერთა მუშაობის შესახებ, თქვენ გაიგებთ, რომ ისინი უეჭველად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კომკავშირის და პარტიის ცხოვრებაში.

კოპენჰაგენის პიონერ-ორგანიზაცია არ არის მაინცადამაინც მრავალრიცხოვანი (მასში ირიცხება 100 წევრი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეტად აქტიურია. ორგანიზაციულად ის დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად: ჯგუფი ხელმძღვანელების, რედკოლეგია, კორესპონდენტების ჯგუფი, სააგიტაციო ჯგუფი, ეგრეთწოდებული „ადგილობრივი ჯგუფი“, რომელსაც ევალება სხვადასხვა საქმე, მაგალითად, კრებებისათვის, დღესასწაულებისათვის შენობების მორთვა, სხვა ჯგუფების მუშაობაში დახმარება და ასე შემდეგ.

პიონერები მეტად აქტიურები არიან და თითოეული მათგანი მოწაწილეობას იღებს განსაზღვრულ მუშაობაში.

ყოველ ორ კვირაში გამოდის კედლის გაზეთი, რომელსაც ადგენენ თვით პიონერები. ბექდვითი საბავშვო გაზეთი „ტრომპეტე“ („დოლი“) დროგამოშვებით გამოდის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაზეთის მაისის ნომერი, რომელიც შედგენილი იყო თვით პიონერების რედაქციით, 2 ათასი ცალი გამოვიდა. (არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ კოპენჰაგენში მხოლოდ 100 პიონერია). თვის ბოლოს ამ გაზეთის მთელი ტირაჟი გასაღდა.

კორესპონდენტების ჯგუფი მიწერ-მოწერას აწარმოებს არა მარტო დანის სოფლის ბავშვებთან, არამედ გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის და საბჭოთა კავშირის მრავალი ადგილის პიონერებთან.

ერთ-ერთ სკოლაში მოწყობილ იქნა პიონერთა უჯრედი, 8 წევრისაგან შემდგარი. ამ უჯრედის 2 წევრი სკოლიდან გამორიცხეს იმისათვის, რომ ისინი კომუნისტურ აგიტაციას ეწეოდნენ.

ერთი სკოლის მოწაფეებმა, რომლებშიც არ იყო არც ერთი პიონერი, მხოლოდ იყო რამდენიმე თანამგრძობი, მოითხოვეს, რომ მასწავლებელს ეამბნათ მათთვის რაიმე საბჭოთა კავშირის შესახებ. მასწავლებელი შეეცადა გვერდი აეხვია ამ თხოვნისათვის იმ საბაბით, რომ მან არაფერი არ იცის საბჭოთა კავშირის შესახებ. მაშინ პიონერებმა მოითხოვეს ნება მიეცათ პიონერისათვის, რომ ის გამოსულიყო ამ საკითხის შესახებ. მასწავლებელი იძულებული შეიქნა ნება დაერთო. და, მართლაც, პიონერმა კლასს მთელი ერთი საათის განმავლობაში უამბო საბჭოთა კავშირის შესახებ ბევრი რამ საინტერესო, ხოლო ბურჟუაზიული მასწავლებელი კი უსმენდა მას და წინააღმდეგობის გაწევას ვერ ბედავდა.

გასული წლის ზაფხულში კოპენჰაგენის პიონერები საბანაკოდ იყვნენ. ამ ბანაკობის დროს ისინი დაუკავშირდნენ ბავშთა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს. მიუხედავად მასწავლებელთა აკრძალვისა, ზოგიერთი ბავშვები მიდიოდნენ პიონერებთან. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც უკვე 8 წელია, რაც წევრია ბავშთა სოციალისტური ორგანიზაციისა, პიონერებმა რამდენიმე შეკითხვა მისცეს. მოვიყვან ამ საინტერესო საუბარს.

— რატომ ატარებთ თქვენ დანენბროგს (დანის ეროვნული დროშა)? — ეკითხება პიონერი.

— იმიტომ, რომ ის ჩვენ გვაჩუქეს ჩვენს დაბნობის ქალებმა, თვით შეკერეს.

— ყველა თქვენი კოლექტივი ატარებს ასეთ დროშას?

— დიახ, ყველა.
 — როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა ეს?
 — არა, არსებითად ეს არ არის სწორი, რადგანაც ეს არის ნაციონალისტური და მილიტარისტული დროშა.
 — თქვენ გაქვთ აგრეთვე წითელი დროშაც; რას ნიშნავს ის?

— არა.
 — იცით თუ არა, ვინ არის სოციალ-დემოკრატა?
 — დიახ, დიახ, ეს... არის გაზეთი... მის გვერდით მდგომი მეორე ბაფში ცოტა ხნის შემდეგ გვიპასუხებს:
 — ეს არის პარტია.

— როგორც მე მგონია, წითელი დროშა ჩვენ გვაქვს იმისთვის, რომ ჩვენი რაზმი დაარსდა 8 წლის წინათ ერთი რუსის ხელმძღვანელობით.

— რუსეთში თუ არსებობს წითელი დროშა?

— არა.
 — იცი თუ არა რამე საბჭოთა კავშირის შესახებ?

— არა...
 — არის თუ არა იქ მეფე?

— ცოტა ხნის რყევის შემდეგ ბაფში უპასუხებს პიონერებს:

— არა, მე მგონია, იქ ახლა არის მხოლოდ კაროლი.

— მაშ, შენ არაფერი არ იცი წითელი დროშის შესახებ?


— არა.

— რას აკეთებთ თქვენს კრებებზე?
 — ვმღერით, ვცეკვავთ ხალხურ ცეკვებს და სხვა.

— რას მღერით?
 — სხვადასხვა სიმღერას.
 — მღერით თუ არა „არსებობს მშვენიერი მიწა“ (ბავშთა ეროვნული ჰიმნი)?

— დიახ.
 ჩვენ შევეკითხეთ იმის შესახებ, თუ რას მღერობენ ისინი და გავიგეთ, რომ ისინი მღერობენ მხოლოდ ნაციონალისტურ სიმღერებს, სოციალისტურს და რევოლუციონურს კი არცერთს.

— გიკეთებთ თუ არა თქვენ ვინმე მოხსენებას?
 — დიახ, ჩვენ გაგვიკეთეს მოხსენებები დიდი ქალაქების—პარიზის, ლონდონის და სხვების— შესახებ.
 — იცით თუ არა, ვინ არის კაპიტალისტი?
 — არა.
 — იცით თუ არა, ვინ არის სოციალისტი?



დანის პიონერები.

— თქვენ სოციალ-დემოკრატები ხართ?
 — დიახ, ჩვენ მალე გავხდებით სოციალ-დემოკრატები.

— როგორ ფიქრობთ, აკეთებს თუ არა სოციალ-დემოკრატია მუშებისათვის რაიმეს?
 — ეს ერთადერთი პარტიაა, რომელიც რაღაცას აკეთებს მუშებისათვის.

— რას აკეთებს ეს პარტია მუშებისთვის?
 ისინი დაეხმარებიან მუშებს, თუ მიიღებენ უმრავლესობას რეიხსტაგში.

— იცნობთ თუ არა კომუნისტებს?
 ზოგიერთები უპასუხებენ:
 — არა.
 ზოგიც უპასუხებს:
 — კი.
 — გიყვართ თუ არა ისინი?
 — არა.
 — რატომ არ გიყვართ?
 ამაზე კი უკვე ვერაფერს ვერაფერი ვერ უპასუხა.

ყველა მოყვანილ პასუხს იძლეოდენ დანიის ბავშთა სოციალისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო რაზმის ბავშვები. ეს მთელი ორგანიზაციის დამახასიათებელია.

მეტად საინტერესოა მოვიყვანოთ ერთი სასოფლო-სამეურნეო მუშის წერილი ნორჩი პიონერებისადმი, რომელთა ბანაკშიც ის ხშირად იყო.

„მე და ჩემი ამხანაგები ვიძღვებით სალამს პიონერებს, რომლებიც ცხოვრობთ ბანაკში.

სანამ გავეცნობოდი ბავშთა კომუნისტურ ბანაკს ოსტვალდში, არ ვიცოდი, თუ რა იყო კომუნიზმი. და მე ვფიქრობ, რომ სოფლებში ბლომად იმყოფებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არიან კომუნისტები, თუმცა მათ ეს არ იციათ.

მე დავინახე, თუ როგორ ფრიალებდა თქვენი ბანაკის თავზე წითელი დროშა და მესმოდა თქვენი სიმღერები, რომელიც მთელედეში გაისმოდა. თქვენი ბანაკი სრულიად არ გავდა ბოისკაუტების ბანაკს, რომელთა დანახვასაც უკვე შევეჩვიე. იმათ ბანაკზე ფრიალებდა ნაციონალური დროშა და მღეროდენ „მეფე ქრისტიანი“ (ჰიმნს, რომელიც მიძღვნილია მეფისადმი).

ერთხელ თქვენ დამპატიყეთ კოცონთან. აღვიარებ, ძლიერ გამიკვირდა, რომ დავინახე, თუ როგორ აირჩიეს ნორჩმა პიონერებმა თავმჯდომარე და დაიწყეს საუბარი მუშათა და გლეხთა კლასთა ბრძოლის შესახებ; არც ერთ ბანაკში, რომლებიც აქ იყო, მე არ მინახავს ისეთი სიყვარული და სოლიდარობა, როგორც თქვენს ბანაკში.

თქვენთან გავიგე, თუ რას აძლევს კომუნიზმი მშრომელთ, და ამიტომ გიგზავნით სალამს პიონე-

რებს, რომლებიც ბანაკში ცხოვრობთ და მადლობას გიძღვნით იმ მშვენიერი საათებისათვის, რომელიც თქვენთან გავატარე. განსაკუთრებით მადლობას ვუძღვნი ორ წინამძღოლს მათი კარგი, მოფიქრებული საუბრებისათვის, რომლისაგანაც ბევრი რამ ვისწავლე. ამხანაგური სალამით ლიუდვიგი, სოფლის-მეურნეობის მუშა“.

მე ძლიერ ცოტა დრო გავატარე კოპენჰაგენის პიონერ-ორგანიზაციაში, მაგრამ იმან, რაც დავინახე, დამარწმუნა, რომ კოპენჰაგენის პიონერ-ორგანიზაცია ერთ-ერთი საუკეთესო და აქტიური ორგანიზაციაა საერთაშორისო ბავშთა მოძრაობაში.

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, თუ რატო არიან ასე ცოტა პიონერები კოპენჰაგენში. ეს მოვლენა სავსებით გასაგებია. კოპენჰაგენის პიონერები ერთ კაპეკსაც არ იღებენ კომკავშირიდან და პარტიიდან, პირიქით, — მათ უხდებოდათ დახმარების გაწევა პარტიისათვის და კომკავშირისათვის. პიონერები აწყობენ ფულის შეგროვებას, არიგებენ პარტიულ ფურცლებს, ატარებენ პარტიულ აგიტაციას სოფელში და სხვ..

გარდა ამისა, კოპენჰაგენის სახლების მეპატრონეთა კავშირმა დაადგინა, რომ არ მისცეს ბინა პიონერებს კრებებისათვის. ყოველდღე ბიუროს პატარა შენობაში იკრიბება რაზმი, ათ-ათი წევრით თითოეულში. ისინი თავის კრებას სწორედ ერთსადამივე დროს ატარებენ და შემდეგ ადგილს უთმობენ სხვებს.

ასეთ მძიმე პირობებში ატარებენ თავის მართლაც სანიმუშო მუშაობას კოპენჰაგენის პიონერები.

დავიწყეთ ბრძოლა პაპიროსის წინააღმდეგ.

პიონერების ერთ-ერთი წესი ამბობს: „პიონერები არ სწევენ თამბაქოს და არ სვამენ“. ღვინო და თუთუნის შხამია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს წესი ყოველ პიონერს უნდა ახსოვდეს და თვითონაც უნდა ასრულებდეს მას და სხვასაც უნდა უწყობდეს ხელს ადამიანისთვის ამ მავნე შხამის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მალე სკოლებში სწავლა დაიწყება, ისევ შეგროვდებიან ბავშვები და შეუდგებიან საზოგადოებრივ და სხვადასხვა კულტურულ სამუშაოებს. კერძოდ პიონერ-კოლექტივების წინ, როგორც ყოველთვის, დიდი სამუშაო ამოცანები სდგას, მაგრამ სხვა მრავალ ამოცანასთან ერთად პიონერებს უნდა ახსოვდეთ ალკოგოლის და თუთუნის წვეის მავნებლობა და ფართო აგიტაცია უნდა აწარმოონ მის წინააღმდეგ, როგორც სკოლებში, ისე სკოლის გარეთ.

შესაძლებელია ისიც, რომ ბევრ ნორჩ პიონერს არც კი ესმოდეს ეს ვალდებულება და თუთუნის წვეის უვნებელ მოვლენად სთვლიდეს, დაასახლოს კიდევ ადამიანები, რომლებიც თუთუნს ეწევიან, მაგრამ ჯანმრთელი შეხედულება აქვთ.

რაშია, მაინც, თუთუნის წვეის ბოროტება? აი რას ამბობს ამის შესახებ მეცნიერება:

თუთუნის ერთ-ერთ შეგადგენელ ნაწილს წარმოადგენს ევრეთწოდებული ნიკოტინი, მეტად მავნე და ძლიერი შხამი. პატარა ჩიტების მოკვლა წუთში შეიძლება ნიკოტინის საშუალებით: ჩიტს საკმაოდ აყნოსებინოთ იგი. ძლიერ ცუდად მოქმედობს იგი ადამიანზედაც; ნიკოტინის საკმაოდ რაოდენობის მიღების შემდეგ ადამიანს თავბრუ ეხშმის, ამიტომ კაცი, რომელიც თუთუნის წვეას ეჩვევა, პირველ ხანებში საშინელ თავის ტკივილს გრძნობს.

განსაკუთრებით ძლიერად მოქმედობს ნიკოტინი ადამიანის ე. წ. სიმპატიურ ნერვულ სისტემაზე, რომელიც მდებარეობს ადამიანის გულსა და მუცელს შორის. სიმპატიური ნერვული სისტემა ადამიანის გულის, სისხლის მიმოქცევის, კუჭისა და ნაწლევების მუშაობას განაგებს, ნიკოტინი კი ამ ნერვული სისტემის შხამია და, მასასადამე, ადამიანის ამ ორგანოების მტერი.

ყველასათვის ცნობილია, რომ დამწყები მწეველი ხშირად ფიქრდება, ერევა გული და პირში უგრძობდება ნერწყვი, გულისცემა უნელდება და სხვ.

მართალია, ადამიანი შეიძლება მალე მიეჩვიოს თუთუნის წვეს, მაგრამ აქაა სწორედ მისი საშიშროების მთელი საილუმოება. ნიკოტინი ისე, როგორც სხვა, ადამიანისთვის მავნე მრავალი ნივთიერება, როგორცაა, მაგალითად, მორფი და სხვა, — იწვევს მომხმარებელში ერთგვარ მოთხოვნილებას, რომ რაც შეიძლება მეტი გაიხმაროს იგი. პირველად სწევენ სამჯერ დღეში. შემდეგ, რამდენადაც იზრდება ეს მოთხოვნილება, იმდენად უმატებენ წვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი ღრმად მოწამლული, რის გამო ხშირად ადამიანს ეკარგება გუნება, ემართება ნერვულობა, გულის სისუსტე. ხშირად ადამიანები, რომლებიც გრძობენ ამ მავნებლობას, ებრძვიან თავის თავს და ხშირად სძლევენ კიდევ. პიონერი, რომელმაც იცის თუთუნის შხამის საშინელება, არ სწევს თუთუნს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც სწევენ. ამისთვის საჭიროა პიონერ-კოლექტივებმა სკოლებში და სხვაგან ჩაატარონ კამპანიები, გასწიონ ფართო აგიტაცია მის წინააღმდეგ როგორც პატარებს შორის, ისე მოზრდილებშიც.

რუსეთში არის ისეთი სკოლები, სადაც პიონერებმა სცაღეს უკვე ასეთი ბრძოლის წარმოება. მაგალითად, ბაუმანის რაიონის 28 შრომის სკოლის პიონერებმა თვალსაჩინოდ გამოიყენეს ეს საქმე და სათანადო შედეგებსაც მიაღწიეს. ასე, მაგალითად, მათ შეადგინეს საგანგებო რაზმი, რომელიც დაწესებულებაში აწარმოებდა პაპიროსის წვეის საწინააღმდეგო აგიტიციას.

მათ შეადგინეს ლურჯი რვეული — დღიური, სადაც ყოველდღიურად სწერდნენ, თუ სად რამდენ ადამიანს ჩამოართვეს პირობა, რომ თუთუნის წვეს მიატოვებდნენ. ასე წარმოიდგინეთ, მათ **ამხ. ბუხარინსაც** კი ჩააწერინეს რვეულში, რომ ის მიატოვებდა თუთუნის წვეს. ახლა უკვე ცნობილია, რომ ამხ. ბუხარინი თუთუნს არ სწევს. ამ რაზმში შედის 28 პიონერი. მათ შორის 21 ქალია და 7 ვაჟი. მ.თი ლოზუნგები შემდეგი ხასიათისაა: „ნუ სწამლავ ჰაერს, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ“. „ჩვენ გიბრძვით სუფთა ჰაერისათვის, რაც სიჯანსაღის და-

საბამია“. ჩვენ, ახალი ცვლა, ვკრძალავთ თუთუნის წვეს სკოლასა და სახლში“. „ნუ გვაძლევთ ცუდ მაგალითს თუთუნის წვეით“. „თუთუნის მწვეელი მყავბადის ქურდია, კლექის მეგობარი“.



ამხ. ნ. ბუხარინი აძლევს პიონერებს პირობას.

საინტერესოა მათი დღიურის ანგარიშებიც:

„2 აპრილი. 1928 წელი. მუშაობა მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილებაში წარმოებს. მუშაობდა 7 კაცი, დავინაწილეთ ოთახები. ერთმა შენიშნა, რომ მე-ნ სართულზე არ იყო განცხადება თუთუნის წვეის წინააღმდეგ. განვაცხადეთ ამის შესახებ, თხოვნა აგვისრულეს. მე-პ სართულზე განყოფილების თანამშრომლებთან სერიოზული მსჯელობა მოგვიხდა. ბევრი ადვილად დაგვემორჩილა, მუშაობა მხიარულად მიდიოდა“.

ეს ამონაწერი იმის ნიშანია, თუ რა სერიოზულად ეპყრობა თავის საქმეს პიონერების ჯგუფი და როგორ გარკვეულად იბრძვის დასახული ამოცანის განსახორციელებლად. საჭიროა ჩვენც მივბადოთ მათ ამ საქმეში და ვაწარმოოთ ალკოგოლისა და ნიკოტინის საწინააღმდეგო ბრძოლა. გავაკრათ სკოლებში ლოზუნგები, გამოვიკიდოთ დაფა იმათი სიით, ვინც კი სწევს თუთუნს, მაგრამ ყველა ის, ვინც მიატოვებს წვეს, იქვე აღვნიშნოთ მეორე სიაში. ამრიგად, უნდა ვეცადოთ მივახწიოთ მიზანს, რომ სკოლაში არ დარჩეს არცერთი მასწავლებელი, არცერთი მოსამსახურე და მოსწავლე, რომლებიც სწევდნენ თუთუნს და გვიწამლავდნენ ჰაერს.

მოდი დავიწყოთ ეს მუშაობა.



ჩვენი სმოზრება და მუშაობა

მუშაობა გაცხოველდა (წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის ელსადგურის კომკავშირის უჯრედთან არსებული ნორჩ პიონერთა კოლექტივი ჩამოყალიბდა 1924 წელს. კოლექტივის მუშაობას პირველ ხანებში ხელს უშლიდა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი, მაგრამ ამას კომკავშირმა მთავარი ყურადღება მიაქცია და მას შემდეგ, რაც ბიურომ ხელმძღვანელად აქტიური კომკავშირელი გამოაპყო, მუშაობა გაცხოველდა. კოლექტივში ირიცხება 13 წ. პიონერი და 4 წ. ოქტომბრელი. ვინაიდან პიონერების რიცხობრივად ზრდას ჩვენ კოლექტივში საზღვარი არა აქვს, განზრახულია ორი კოლექტივის დაარსება. მაგრამ ჯერჯერობით ხელს გვიშლის ბინის უკონლობა. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრე. კოლექტივში პიკორთა წრის ხელმძღვანელობით გაშლის კედლის გაზეთი „პიონერთა გზა“ და ხელნაწერი ჟურნალი „მომავლის“ სახელწოდებით. გაზეთში დათმობილი აქვს ადგილი შემდეგ განყოფილებებს: კოლექტივის ცხოვრება, ლიტერატურული და იუმორისტული განყოფილება.

ნაკლებ მოთავეებულ წერილებს სათანადო ყურადღება ექცევა; კედლის გაზეთ „პიონერთა გზა“-ს და ჟურნალ „მომავლის“ ირგვლივ დარაზმულია

30-მდე პიკორი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ; პიკორთა წრის მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ, საუბრები ტარდება უმთავრესად პრესის მნიშვნელობაზე, პიონერთა ამოცანებზე. კრებებზე აგრეთვე ძველი ახკორები გვესაუბრებიან, თუ როგორ დაიწყეს მათ წერა და როგორ გახდნენ ახკორები. ჩვენი პიკორები, გარდა კედლის გაზეთისა, ცენტრალურ გაზეთებშიც თანამშრომლობენ. კოლექტივს კავშირი აქვს ქუთაისის მესამე ლეგიონის მეშვიდე ასეულთან, სადაც ხშირად მივდივართ, ვათვალიერებთ და ვეცნობით ძველი და ახალი ყაზარმების მღკამარეობას.

ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს სხვადასხვა ადგილებზე, ვათვალიერებთ ახლად აგებულ ფაბრიკა-ქარხნებს. ამას წინათ მოვაწყვეთ ექსკურსიები ქუთაისის მესხანძრეთა რაზმში, მოწამეთის ახალ კირის ქარხანაში და რიონჰესში. ექსკურსიების შემდეგ მოწამეთის მიდამოებზე მოეწყო პიონერთა ლაშქრობა. ლაშქრობას პიონერები აღფრთოვანებით შეხვდნენ და დიდი ნაყოფიც მოიტანა. თვეში ერთხელ პიონერთა მშობლების თანდასწრებით ეწყობა საღამო-წარმოდგენები.

6. მიქაშავიძე.

ჩვენი კოლექტივის მუშაობა

ოზურგეთის საბავშვო სახლის კოლექტივი № 3 ჩამოყალიბდა 1925 წლის ოქტომბერში. პირველ ხანებში კოლექტივი აერთიანებდა 20 პიონერსა და 10 ოქტომბრელს. კოლექტივის მუშაობა პირველად ვერ იყო სასურველ ნიადაგზე დაყენებული, მაგრამ ბოლო ხანებში მუშაობა თანდათან გაუმჯობესდა. კოლექტივი ამჟამად აერთიანებს 30 პიონერს და 15 ოქტომბრელს. კოლექტივს ჰყავს თავისი ორგანო, საბჭო, რომელშიაც შედის 5 წევრი და 2 კანდიდა-

ტი. კოლექტივი № 3 დაყოფილია 3 რგოლად, რომ ამით კოლექტივის მუშაობა უფრო გაორკეცებულ იქნას. თითოეულ რგოლში შედის არა ნაკლებ 10 კაცი, რომელთაც ხელმძღვანელებად ჰყავთ საბჭოს აქტიური წევრები. ამასთანავე ოქტომბრელების ჯგუფი დაყოფილია 3 ვარსკვლავად, რომელშიაც შედის 5 კაცი. კოლექტივი № 3 უშვებს გაზეთს „ოქტომბრის ყვავილი“, სადაც უმთავრესად იწერება კოლექტივის ყოფა-ცხოვრების შესახებ და პრაქტიკული

მითითებანი. საბავშვო სახლის კოლექტივს გამოწერილი აქვს ჟურნალი „ნორჩი პიონერი“ — 3 ცალი და „ახალგაზრდა კომუნისტი“ — 3 ცალი.

ოზურგეთის საბავშვო სახლის № 3 კოლექტივის კავშირი აქვს გაბმული კოჯორის საბავშვო სახლის კოლექტივთან, რომლის საშუალებითაც ვეცნობით ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას. კოლექტივი საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიურ როლს თამაშობს, აწყობს საღამოებს, ექსკურსიებს ისტორიულ ნაშთებზე. ამ კოლექტივს აქვს მოწყობილი სამკიანხველო, ლენინის კუთხე და სამხედრო კუთხე. № 3 კოლექტივის ის ნაკლი აქვს, რომ აქ არ არის სათანადო ნიადაგზე დაყენებული სპორტი, ტანვარჯიში.

პიონერი ბ. მანთიძე.

რით არის სასარგებლო ლორების მოშენება.

ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ ჩამორჩენილია, ღარიბია, სოფლის მცხოვრებლებს ხშირად აკლიათ ბევრი რამ, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. საჭიროა სასტიკი ბრძოლა სოფლის უარყოფით მხარეებთან და, სხვათა შორის, იმ სილატაკესთან, რომელსაც ფართოდ მოუკალაონია ჩვენს სოფელში. მინიმალური შრომის გაწევით მაქსიმალური შედეგების მიღება, — აი რა არის საჭირო, ჩვენი გლეხობა კი, პირიქით, მაქსიმალურ შრომას ხარჯავს მინიმალური შედეგებისათვის. ავიღოთ კონკრეტი მაგალითები: სოფლად ხშირია აყალმაყალი იმის გამო, რომ ერთი გლეხის ღორი სხვის ყანაში გადავა და გააფუჭებს, ბავშვები დიდიდან საღამომდე ათრევენ ბაწრით ყანის პირებში ძროხას, რომელიც სულ რამდენიმე ბოთლს იწველის!.. უჯიშო საქონელია საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში გავრცელებული და აუარებელი შრომა ფუჭად იხარჯება მასზე. უჯიშოა ჩვენი ღორიც, რომლის შესახებაც გვექნება საუბარი ამ წერილში.

აღბათ, ბევრი არც დაფიქრებული იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა ჩვენთვის ღორი. **არცერთი სხვა ცხოველი არ იძლევა ისე იაფად ხორცსა და ქონს, როგორც ღორი.** გამოანგარიშებულია, რომ მისი ხორცი 2—2¹/₂ ჯერ უფრო იაფი უჯდება პატრონს, ვიდრე, მაგ. ძროხის ხორცი. გარდა ამისა, ღორს ბევრი სხვა უპირატესობაც აქვს. არც რქიანი საქონელი და არც ცხვარი არ **მრავლდება ისე სწრაფად,** როგორც ღორი: თუ კარგ პირობებში შევინახავთ და საკვებს არ დავაკლებთ, ჯიშისანი ღორი ორჯერ დაყრის გოჭებს წელიწადში და საშუალოდ 18—24 გოჭს მოგვცემს. ვთქვათ, ძროხის ცოცხალი წონა 30 ფუნთია. როდესაც დავკლავთ ამ ძროხას, მივიღებთ მხოლოდ 15 ფუნთ დაკლულ წონას, ღორი კი, რომლის ცოცხალი წონა 16 ფუნთია, — 12 ფუნთ გასაყიდ ხორცს (დაკლული წონა) იძლევა, ე. ი. ძროხა იძლევა 50%, ღორი — 75%. ანგარიშგასაწევი ისიც, რომ ღორის ხორცი ბევრგვარი სანოყავის დასამზადებლად არის გამოსადეგი — დამარილებული ქონი,

ღორი, ძეხვი და სხვა. ამიტომ ამ ხორცს მუდამ უზრუნველყოფილი ბაზარი აქვს.

ღორი, როგორც ცნობილია, სმა-ჭამის მხრივ ფაქიზი არ არის, სჭამს ნასუფრალს, ყოველგვარ მონარჩენს, ქატოს და, ასე გასინჯეთ, თივასაც კი. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც პირველ ქვეყანად ითვლება ღორების სიმრავლის მხრივ, იონჯისა და სამყურის საძოვრები აქვთ, სადაც ასუქებენ ღორებს. რკო და წიფელიც საუკეთესო საკვებია ღორისთვის.

ჩვენებური ღორი 3—4 ფუნთს იწონის, ჯიშისანი ღორი კი — 18—20 ფუნთს. ინგლისელებმა შეჯვარდინების მეოხებით მიიღეს მშვენიერი დიდი ღორი იორქშირის ჯიშისა, რომელიც საბჭოთა კავშირში საკმაოდაა გავრცელებული. აუცილებლად საჭიროა ჩვენმა გლეხობამაც ასეთი ჯიშისანი ღორები მოაშენოს, თორემ უჯიშო ღორის მოვლა-პატრონობა არც კი ღირს.

აი რა უნდა ვიცოდეთ მეღორეობის შესახებ: როდესაც ღორი გოჭებს დაყრის, ბოლოს ბუდესაც შობს, რომელსაც ის შესჭამს, თუ კი არ ავაცალეთ. თუ შესჭამა, მოეწონება და მერე გოჭებსაც დაუწყებს შეჭმას. ამიტომ მალე უნდა მოვაშოროთ.

ღორს ჩვეულებრივ 12 ძუძუ აქვს, კარგმა ღორმა კი შეიძლება 14—16 გოჭიც დაყაროს. უნდა გვახსოვდეს, რომ დედა-ღორს უნდა დაუტოვოთ **იმდენი** გოჭი გასაზრდელად, რამდენიც ძუძუ აქვს. დანარჩენებს ან რძით დავზრდით ლუმელთან, ან მეზობლებს მიეყიდით. ხანდახან დედა-ღორი სკყელტს თავის გოჭს. რომ ეს არ მოხდეს, სალორე საკმაოდ დიდი უნდა იყოს. გოჭების დაყრის დროს სალორეში 10—12 გრადუსი სითბო მაინც უნდა იყოს. დაუშვებელია ნოტიო სალორე — გოჭები ვერ ეგუებიან სინესტეს.

კვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და აქას კი ჩვენში არავითარი ყურადღება არ ექცევა. მართალია, უჯიშო ღორი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ჰგავს გარეულ ღორს, იმდენად არ მოითხოვს წესიერ კვებას და ხშირად „თავის ხარჯზე“ იზრდება,

თვითონ ეძებს საზრდოს, მაგრამ სარგებელსაც ხომ მცირეს გვაძლევს!

ჩემი დასამტკიცებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს წესიერ კვებას, მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: მოსკოვში აიყვანეს 4 გოჭი, ასაკით და წონით ერთნაირი. 2 გოჭს აქმედდენ ბევრ კართოფილს, კარხალს და ცოტა მარცვალს. დანარჩენ ორს კი — ბევრ მარცვალს და ცოტა კართოფილსა და კარხალს. ორი თვის შემდეგ აი რა აღმოჩნდა: რომელიც ბევრ მარცვალს სჭამდა, იწონიდა 21 კილოს, ის კი, რომელიც ბევრ კართოფილს სჭამდა — მხოლოდ 5³/₄ კილოს.

ხშირად გოჭებს ფაღარათი ემართებათ. ამის მიზეზია ნაკელი და შაქრი, რომელიც საღორეში გროვდება პატრონის უყურადღებობის გამო, ან ობმოკიდებული საჭმელი. ფალტვების ანთებაც ხშირი მოვლენაა გოჭებს შორის, რასაც გაციება იწვევს.

რაც უფრო დიდხანს იქნება ღორი სუფთა ჰაერზე, მით უკეთესია. ზაფხულში ამე იკლებს ღორის ჯოგები საძოვრებზე ჰყავთ; ისინი სთესენ იონჯას ან სამყურას და ამ ადგილებში უშვებენ ღორებს — ეს დიდად სასარგებლოა პატრონისათვის, ჩვენში კი ღორები დაუდისთ ხრიოკ, მწირ ადგილებში, სადაც საკმაო საკვების შოვნა ღორისათვის შეუძლებელია.

ჰაერზე ყოფნის წყალობით ცხოველი ეჩვევა ამინდის ცვალებადობას, მაგრდება და ამტანი ხდება. სოფლად კი ჩვენში ზაფხულობით ღორი დამწყვდეულია, ან უღელი ადგია, რომ ყანაში არ გადავიდეს. ასეთ წამებაშია ღორი და აბა რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას!

სოფელმა უნდა გამოჰყოს რომელიმე ადგილი, დათესოს იონჯა ან სამყურა და იქ გაუშვას ღორები. საერთო ძალ-ღონით, საერთო შრომით ძალიან ბევრი რამის ვაკეთება შეიძლება, საჭიროა მხოლოდ ამის შეგნება.

ღორს უნდა მიეცეს ბანაობის საშუალება. ამისათვის კარგია მდინარე თხელი წყლით და ქვიშიანი ნაპირით. სუფთა წყალი ღლეში ორჯერ უნდა ასვათ. საკვები მშრალი უნდა მიეცეს ღორს და არა წყლიანი, რადგანაც ზედმეტი წყალი ხელს უშლის საჭმლის მოწელებას. აი კვების წესები:

1. მიეცით ღორს ახალი და გემრიელი საკვები. მისი წინდაწინ დამზადება არ ვარგა: წახლება, გაფუჭდება.

2. აჭამეთ ღლეში რამდენჯერც. რაც უფრო პატარაა გოჭი, მით უფრო ხშირად სჭირდება საჭმლის მიცემა — 5-6-ჯერ, დიდ ღორს კი — ღლეში სამჯერ.

3. საჭმელი იმდენი უნდა მისცეთ, რომ ღორი მოერიოს და ერთ ჯერზე წესქაღის დაუტოვებლად. თუ დარჩა გობში, შემდეგ აჭამეთ, გაფუჭდება.

4. ერთი სახის საკვებიდან სხვა სახის საკვებზე ერთბაშად არ უნდა გადაიყვანოთ ღორი, რადგან მომწელებელი ორგანოები უნდა შეეგუონ ახალ საჭმელს.

5. გობი, რომლითაც აძლევთ საჭმელს, კარგად უნდა გაირეცხოს ხოლმე და გამშრალდეს, თორღნარჩენი ჩაღებება და კუჭს აუშლის ღორს.

6. საჭმელის ერთი მიცემიდან მეორემდე დროს თანაბარი უნდა იყოს.

7. საჭმელი მუდამ ერთსადაიმავე დროს უნდა ეძლეოდეს, მაგალითად, დილის 7 საათი, ნაშუადღევს 1 საათი და საღამოს 7 საათი. თუ ეს პირობა არ იქნა დაკული, კვება საკმაო სარგებლობას ვერ მოიტანს.

8. საკვები რაც შეიძლება სხვადასხვანაირი უნდა იყოს.

9. ცივი საკვების მიცემა დაუშვებელია. განსაკუთრებით ცუდად მოქმედობს ის მაკე ღორზე.


10. წყალი ყოველთვის ახალი და სუფთა უნდა მიცეთ.

რაც უფრო ცივია ღორის ბინა, მით უფრო მეტს სჭამს ის, რადგან საჭმელის ნაწილი ღორს სხეულის გათბობას უნდება. ამიტომ ბინა თბილსინათლიანი უნდა იყოს. რაც უფრო ნაკლებს იმის ძრავებს ღორი, მით უფრო გასუქდება (თუ სახორცედ გვინდა). სადგომის სიმშრალეს უფრო მეტ მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სითბოს. საღორეს ჰერ და სახურავს შორის უნდა იყოს ჰაერის გამწევი მანქანი, რომელიც დიდ სიცივეში დაიხურება. საგება ჩაღაა საჭირო, ნაკელი კი ყოველდღე უნდა გამოიწმინდო: ღორებს არ უყვართ ქუჭკი (ალბათ, ძალიან ზე გაგაკვირვებსთ ეს „უცნაური“ დებულება!).

ჩვენ გლევს რომ ყოველივე ზემოთქმული გააცნოთ, გუნებაში მაინც გაიცინებს: გადაყვლილია ღორს და ეს არისო, იმას კი არ უწევს ანგარიშს, თუ რა სარგებლობას მისცემს ჯიშიანი ღორი წესიერი მიწვა-კვებით. თუკი სიმინდის მოსაყვანად გამეტებით ოფლსა ვღვრით, ვხნავთ, ვაპირადებთ, ვამორადებთ, — რატომ არ შეიძლება ღორსაც მოვუაროთ, რომელიც ძალიან დიდ სარგებლობას მოგვცემს სულ მცირე შრომის გაწევით.

ყოველი ჩვენგანის, განსაკუთრებით კი პიონერების, ვალია შეიტანოს სოფლად კულტურა, გაათავოს ცნობიეროს გლევობა, აგიტაცია გასწიოს სოფლად ახალი ყოფა-ცხოვრების სასარგებლოდ. კულტურული რევოლუციისთვის ეკონომიური საფუძველია საჭირო და დროა ამოვიყვანოთ სოფელი სიღარიბის ქაობიდან. წესიერად დაყენებული მეღორეობა ძალიან წინ წასწევს სოფლის ეკონომიურ მდგომარეობას და ამიტომ ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ისარი.



ჩვენნი ვიქტორინა

სერია I.

1. რამდენი ზიონური ითვლება საქართველოს ზიონურ-ორგანიზაციაში?
2. ვინ დასწერა „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყანა“.
3. ვის უწოდებენ „მესამე თაობას“ და რისთვის?
4. რამ მოჰკვლა ლენინი?
5. ვინ იყვნენ სპარტაკელები?
6. ვინ არის საბავშო კომპოზიტორის ცეკას მდივანი?
7. რა ჰქვიათ ჩინეთის მთავარ სატანტო ქალაქს?
8. როგორი სიგვიდლით მოგვდენ გერმანიის რევოლუციონური ასაღვასრდობის ხელმძღვანელი—კარლ ლიბკნეხტი და როსა ლიუქსემბურგი?
9. რამდენი შვილი დარჩა ლენინს?
10. ვინ არის ალექსი ზემკოვი?
11. როდის დაარსდა გაზეთი „ასაღვასრდა კომუნისტი“?
12. რას ნიშნავს სიტყვა „ზიონური“?
13. დასახელებთ უველახე უფრო მაღალი მწვერვალი საქართველოს რესპუბლიკაში.
14. როდის დაიწყო მუშაობა საჭესმა?
15. რამდენი კბილი აქვს ჯანმრთელ ადამიანს?
16. რა არის ა. კ. ი.?
17. როდის დაიწყო მსოფლიო ომი?
18. ვინ არის საქართველოს სასკომსაბჭოს თავმჯდომარე?
19. ვის უწოდებენ წითელფრონტელებს?
20. რომელი წლიდან გამოდის ჟურნალი „ზიონური“?

ვიქტორინა ახალი სათამაშოა, რომელსაც თამაშობენ მთელ საბჭოთა კავშირში. მისი საშუალებით შეიძლება იმის შემოწმება, თუ რა ვიცით და როგორი მახსოვრობა გვაქვს.

ვიქტორინაში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაში ერთმანეთს ეჯობება ორი ან რამდენიმე კაცი. შევამოწმოთ ჩვენც, აბა რა ვიცით და ვინ მეტი ვიცით.



გამოდის 1928 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო და საზღვარგარეთო

ქუჩნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ქუჩნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ქუჩნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელები (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „კომუნისტური“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქსიო კოლევიჩი.